პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 61 (18303) კვირა, 14 მარტი, 1982 წელი ფასი 3 კაპ.

დეპუტატი სწავლობს და ასწავლის

ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები თავიანთი საპატიო მოვალეობის შესასრულებლად მუდამ ხალხში ტრიალებენ, სოფლისა და ქალაქის გამრჯე ადამიანების გვერდით ცხოვრობენ, შრომობენ და მოღვაწეობენ, ისინი ამომრჩევლებზე დაყრდნობით აქტივის უშუალო მონაწილეობით იღვწიან ჩვენი ცხოვრების სასიკეთოდ, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის შემდგომი წინსვლისა და აღმავლობისათვის, პარტიის წინასწარდასახულობათა ხორცშესხმისათვის.

ცხადია, დეპუტატი პირნათლად რომ ასრულებდეს მოვალეობას, კარგად უნდა იყოს მომზადებული, ერკვეოდეს თანამედროვე პოლიტიკაში, საფუძვლიანად იცნობდეს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, სკკპ XXVI ყრილობის და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ისტორიულ დოკუმენტებს, მეთერთმეტე ხუთწლედის ამოცანებს, თავისი სოფლის, ქალაქის, საარჩევნო ოლქის ეკონომიკას, გეგმებს, პერსპექტივებს.

ამიტომ არის, რომ დღეს დეპუტატთა სწავლებას, მათი ცოდნის დონის ამაღლებას უაღრესად სერიოზული ყურადღება ექცევა. რესპუბლიკის ბევრი ადგილობრივი საბჭოს აღმასკომთან შექმნილია რაიონული, საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოების დეპუტატთა სკოლები, სადაც სწავლობენ ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის შრომებს, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციებს, სსრ კავშირის კანონს დეპუტატთა სტატუსის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ფუძემდებელ დადგენილებებს, საბჭოთა მშენებლობის საკითხებზე მოქმედ საკანონმდებლო აქტებს და ა. შ. როგორც ეს ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე ითქვა, ამ მხრივ გარკვეულ მუშაობას ეწევიან გეგეჭკორისა და დმანისის რაიონებში. აქ მნიშვნელოვნად გააქტიურეს საქმიანობა დეპუტატთა სწავლების უზრუნველყოფისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის, უნარიანად იყენებენ კულტურისა და სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებს, თემატურ სალამოებსა და შეხვედრებს, ლექცია-მოხსენებებს, თათბირ-სემინარებს, ლექტორიუმებს და სხვ.

ყოველივე ამის შედეგად უფრო მრავალმხრივი გახდა დეპუტატთა საქმიანობა შრომითს კოლექტივებში, საარჩევნო ოლქებში, მუდმივ კომისიებში. დეპუტატები ახლა უფრო აქტიურად მონაწილეობენ სესიებზე, აღმასკომების სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში და სხვადასხვა კომისიის მუშაობაში, საჩივარ-განცხადებების შესწავლაში. ფაქტია ის, რომ სულ უფრო იზრდება დეპუტატთა შრომითი აქტიურობა, მათი ზეგავლენა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმებისა და ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად მშრომელთა დარაზმვაში.

„დეპუტატის დღე", — ასე ეწოდება ხალხის რჩეულთა შეკრებებს, რომლებიც თელავის რაისაბჭოს აღმასკომში სისტემატურად იმართება. ასეთი შეკრებები, როგორც დეპუტატთა სწავლების ნაცადი ფორმა, ტრადიციად იქცა. დეპუტატები აქ სწავლობენ, იმაღლებენ ცოდნას, აცნობენ ერთმანეთს თავიანთი მუშაობის ხერხებსა და მეთოდებს, უზიარებენ გამოცდილებას კონსტიტუციური უფლება-მოვალეობის კიდევ უფრო უკეთ და ღრმად გარკვევა-შესწავლისათვის, იმას, თუ პრაქტიკულად როგორ შეასრულონ ამომრჩეველთა განანესი. ასეთი მუშაობის ერთობ საინტერესო ის არის, რომ შეხვედრებზე დეპუტატები ისმენენ პარტიული, საბჭოთა მუშაკების, იურისტების, სამეურნეო ორგანიზაციების წამყვანი სპეციალისტების საუბრებს, ინსტრუქტაჟებს, განმარტებებს. მუშაობის ეს პრაქტიკა ხელს უწყობს ხალხის რჩეულებს თავიანთი მოვალეობის წარმატებით შესრულებაში.

უთუოდ კარგად არის ორგანიზებული დეპუტატთა სწავლება ზუგდიდის რაიონში. ამ მიზნით რაისაბჭოს აღმასკომთან შექმნილია ორწლიანი სწავლების სკოლა. მასში გაერთიანებული არიან სასოფლო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, აღმასკომების მდივნები, მუდმივი კომისიების ხელმძღვანელები, ცალკეული დეპუტატები. აქ ხელმძღვანელ მუშაკთა, მეცნიერთა და სპეციალისტთა ლექციების მოსმენის გარდა დეპუტატები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას საბჭოების მუშაობის აქტუალურ საკითხებზე. დეპუტატთა სწავლების, ცოდნის დონის ამაღლების ასეთი პრაქტიკა ფართოდ არის დანერგილი აგრეთვე გურჯაანის, მახარაძის, ზესტაფონის, თერჯოლის, გორის, ცხაკაიას, ფოთის და სხვა რაიონებსა და ქალაქებში.

ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ დეპუტატთა სწავლების საქმეში არსებითი ხარვეზები და ნაკლოვანებებია, შეიმჩნევა უსისტემობა, ნაკლებად იყენებენ სწავლების ნაცად ფორმებს, არ აღრმავებენ გამოცდილების ურთიერთგაზიარების შედეგად მიღებულ ცოდნას. ასეთი ფაქტები გამოვლინდა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე, როცა იმავე დმანისისა და გეგეჭკორის რაიონებში დეპუტატთა სწავლების საკითხის შესახებ მსჯელობდნენ. იყო ფაქტები, როცა ამ რაიონების ზოგიერთ სოფელში ჩაიშალა დეპუტატთა მეცადინეობა. ცხადია, ასეთი შემთხვევები ზოგი სხვა რაიონული და საქალაქო საბჭოების მუშაობაშიც შეიმჩნევა.

ამიტომ საჭიროა დეპუტატთა სწავლებას ხელი მოჰკიდონ და სისტემატურად გააკონტროლონ პარტიულმა ორგანიზაციებმა, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების ხელმძღვანელმა მუშაკებმა. საქმე ისე უნდა მოგვარდეს, რომ ყველა საშუალებით ხელი შეეწყოს დეპუტატების, მუდმივი კომისიების, დეპუტატთა ჯგუფების ხელმძღვანელთა, აღმასკომების აპარატის მუშაკთა სწავლების უკეთ წარმართვას, მისი ხარისხისა და მეთოდების სრულყოფას, მსმენელთა ცოდნის დონის ამაღლებას, და საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების კავშირურთიერთობის განმტკიცებას. სწავლების დროს აუცილებელია ყურადღება მიექცეს მოწინავე დეპუტატების პირადი მაგალითის ჩვენებას, მუშაობის გამოცდილების პროპაგანდას. უნდა შევქმნათ ისეთი ვითარება, რომ დეპუტატის პირადი მაგალითი, მისი შრომითი წარმატებები ფართოდ ინერგებოდეს ყველა შრომითს კოლექტივში, თვალსაჩინოებისა და საჯაროობისათვის ვიყენებდეთ მას სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებისა და მისი შედეგების შეჯამების დროს, სახელმწიფო გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების უზრუნველსაყოფად მასების დარაზმვისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატთა პოლიტიკური და სამართლებრივი ცოდნის გაღრმავების და გამოცდილების ურთიერთგაზიარების ორგანიზაციას, დეპუტატთა ინდივიდუალური სწავლების ახალი ფორმების ფართოდ გამოყენებას. საჭირო იქნება ყოველმხრივ შევუწყოთ ხელი მათი მუშაობის სრულყოფას, ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაზე მათი ზეგავლენის გაძლიერებას, საბჭოთა და სახელმწიფო აპარატში მუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებას.

უაღრესად საპატიოა საბჭოს დეპუტატის მოვალეობა, უთუოდ მნიშვნელოვანია მისი როლი სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. ამაზე ყოველთვის მკაფიოდ არის ხოლმე ლაპარაკი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე, აქტივის კრებებზე. ერთი სიტყვით, ჩვენში ახლა ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ადგილობრივი საბჭოების დეპუტატები სწავლობდნენ, სისტემატურად იმაღლებდნენ ცოდნის დონეს, კიდევ უფრო ღრმად ერკვეოდნენ თავიანთ კონსტიტუციურ უფლება-მოვალეობებში და ყოველივე ამას უნარიანად იყენებდნენ პრაქტიკულ საქმიანობაში, სადეპუტატო მოღვაწეობაში, ამომრჩეველთა განანესის განუხრელად შესრულებაში.

დეპუტატი ხალხის მსახურია, მისი ნდობით სარგებლობს და მშრომელთა ფართო მასების ინტერესებს გამოხატავს ხელისუფლების ორგანოებში. ამიტომ დეპუტატი მუდამ უნდა იმაღლებდეს ცოდნის დონეს, სრულყოფდეს პრაქტიკულ მოღვაწეობას. ამ საქმეში მათ აქტიურად უნდა დაეხმარონ, უხელმძღვანელონ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, საბჭოების აღმასკომებმა, საზოგადოება „ცოდნის" ადგილობრივმა რგოლებმა, ლექტორებმა და სპეციალისტებმა.

განათლებული, მაღალკვალიფიციური, პოლიტიკურად და პრაქტიკულად მომზადებული დეპუტატი წარმატებით გაართმევს თავს ხალხის მსახურის მოვალეობას, განუხრელად შეასრულებს ამომრჩეველთა განანესს.

ყოველი დღე — დამკვრელური!

საქმემ გამოარჩინა

„საქელექტრომანქანის" საწარმოო გაერთიანების მეთაური ქარხნის — „მიკროძრავის" კოლექტივი წლეულსაც მოწინავეთა რიგებშია. პროდუქციის გამოშვებისა და რეალიზაციის თებერვლის გეგმები დიდი გადაჭარბებით შესრულდა. მოპოვებულია წარმატებები ნაწარმის ხარისხის გაუმჯობესებისათვის ბრძოლაშიც. ქარხნის 9 სახეობის მიკროძრავებს საპატიო ხუთკუთხედი ამშვენებს.

სსრ კავშირის შექმნის მე-60 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდა ჩასაწყობი საამქროს მუშა, კომკავშირელი თინა ტოროხაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას 180 პროცენტით ასრულებს. სურათზე: თინა ტოროხაშვილი.

თ. ნიკოლაიშვილის ფოტო.

დროშები — გამარჯვებულთ

1981 წელს მოპოვებული შრომითი წარმატებისათვის რესპუბლიკის მთელი რიგი კოლექტივები დაჯილდოვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშებით.

გარდაბნის რაიონის ჯანდარის საქონლის სასუქებელი საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო კრებაზე გამარჯვებულთ ჯილდო გადასცა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა გ. მგელაძემ.

მცხეთის ავტოსატრანსპორტო საწარმოო გაერთიანების მუშაკებს საზეიმო კრებაზე გარდამავალი წითელი დროშა გადასცა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის მინისტრმა თ. დავითაშვილმა.

თბილისის საქალაქო აღმასკომის გამწვანებისა და ბაღ-პარკების მეურნეობის საწარმოო სამმართველოს კოლექტივს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე ჯილდო გადასცა თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ნ. ნეფედოვმა.

მარნეულში საწარმოო გაერთიანება „საქარამადნეულის" მშრომელთა საზეიმო კრებაზე გაერთიანების მუშა-მოსამსახურეებს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ გ. მეპარიშვილმა.

ზუგდიდის სოფლის მეურნეობის აგროქიმიური მომსახურების სარაიონთაშორისო საწარმოო გაერთიანების კოლექტივის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე გაერთიანების მშრომელებს გარდამავალი წითელი დროშა გადასცა რესპუბლიკური საწარმოო-სამეცნიერო გაერთიანება „საქსოფლქიმიის" თავმჯდომარემ დ. კოლელიშვილმა.

„საქსოფლმშენმონტაჟის" №10 ტრესტის კოლექტივს მაღალი ჯილდო საზეიმო კრებაზე გადასცა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ დ. გოგორიშვილმა.

ქუთაისი

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებს შორის მოსკოველთა ინიციატივას მოაწყონ 17 აპრილს ლენინური კომუნისტური შაბათობა, პირველებმა მხარი დაუჭირეს ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მუშა-მოსამსახურეებმა. აქ გაიმართა საქარხნო მიტინგი. ავტომობილმშენებლებმა განაცხადეს, რომ უკლებლივ ყველანი გამოვლენ შაბათობაზე და მაქსიმალური უკუგებით იშრომებენ. 17 აპრილს ისინი გამოუშვებენ 230 ათასი მანეთის პროდუქციას.

ლენინური კომუნისტური შაბათობის აღსანიშნავად გაზრდილი ვალდებულებები იკისრეს ელექტრომექანიკური ქარხნის, აბრეშუმის და სამკერვალო საწარმოო გაერთიანებათა, მაუდის ფაბრიკისა და ქალაქის სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

(საქინფორმი).

ონი

ჩორდის ბარიტის მაღაროთსამმართველოს კოლექტივის შრომითს წარმატებაში გარკვეული წვლილი შეაქვს რაციონალიზატორთა კომპლექსურ ბრიგადას, რომელსაც ინჟინერი ნ. რეხვიაშვილი უდგას სათავეში. შარშან ბრიგადის წევრებმა შეიტანეს 11 რაციონალიზატორული წინადადება, რომელთაგან წარმოებაში დღეისათვის 5 დაინერგა. სიახლეთა განხორციელებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა შრომის პირობები, შემცირდა სამუშაო დროის დანაკარგები, დაიზოგა დამხმარე მასალები.

რაციონალიზატორ ინჟინრის მ. შიშმილაშვილის წინადადებით მიწისქვეშა სანგრევებში შპურების ცეცხლით აფეთქება ელექტროდენით შეიცვალა, რითაც დიდძალი ძვირად ღირებული ცეცხლგამტარი ზონარი დაიზოგა.

წარმოება გაორკეცდება

საქართველოში ხორცის წარმოების გადიდების დიდმნიშვნელოვანი რეზერვი ხდება მებოცვრეობა. წლიწადში 350 ტონა დიეტური პროდუქცია — ასეთია გარდაბნის რაიონის სოფელ მარტყოფში ამოქმედებული სპეციალიზებული კომპლექსის პირველი რიგის სიმძლავრე. წლის დამლევისათვის დამთავრდება საწარმოს მეორე რიგის მშენებლობა, რის შედეგადაც დიეტური ხორცის წარმოება გაორკეცდება.

სსრ კავშირის პროფკავშირების XVII ყრილობის დელეგატთა საყურადღებოდ

პროფესიული კავშირების საკავშირო ცენტრალური საბჭო სსრ კავშირის პროფკავშირების XVII ყრილობის დელეგატებს აცნობებს, რომ ყრილობა გაიხსნება 16 მარტს დილის 10 საათზე, კრემლის ყრილობათა სასახლეში.

ზეგ ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ მოსკოვში მუშაობას შეუდგება სსრ კავშირის პროფკავშირთა XVII ყრილობა. ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხის წარგზავნილნი შემოქმედებითად განიხილავენ ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური ცხოვრების ყველა მოვლენას, დასახავენ ახალ გზებს პროფკავშირული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი წარმართვისათვის.

სურათზე, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა მოსკოვში გამგზავრების წინ გადაიღო, აღბეჭდილია ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): თბილისის სტალინის სახელობის ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხნის მედელი, სოციალისტური შრომის გმირი, თბილისის საპატიო მოქალაქე კ. ილურიძე, კავკასიის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე აკადემიკოსი დ. თვალჭრელიძე, საქართველოს სსრ კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ი. ციციშვილი, გორის რაიონის შინდისის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, სოციალისტური შრომის გმირი ნ. ხამნიაშვილი, გურჯაანის რაიონის სოფელ ჩუმლაყის კოლმეურნეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ქ. ბურდიაშვილი, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი მ. მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, საბჭოთა კავშირის გმირი დ. ჯაბიძე, დიმიტროვის სახელობის ქარხნის ხარატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი ტ. როხტიაშვილი, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის ლ. კეცხოველის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რ. ჩიხლაძე, ამბროლაურის რაიონის ბუგეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მევენახე მ. ბუაძე და მცხეთის სახელმწიფო სანერგე მეურნეობის ბრიგადირი ნ. ბეჯოიძე.

ვ. ბენზიურის ფოტო.

ჩვენი ეკონომიკური მიმოხილვა

განვამტკიცოთ წარმატებანი, აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი

სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებებით კაპიტალურ მშენებლობაში მთავარი ყურადღება უნდა დაეთმოს ძირითადი ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეების დროულ ამოქმედებას. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დაავალა, რომ შესაბამისმა ორგანოებმა მკაცრი კონტროლი უნდა დაუწესონ ძირითადი ფონდების და საწარმოო სიმძლავრეების დროული ამოქმედების უზრუნველყოფას. როგორი მდგომარეობა გვაქვს ამჟამად ამ მიმართულებით?

ხუთწლედის სასტარტო წლის წარმატებებში გარკვეული წვლილი მიუძღვით მშენებლებს. რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისათვის მათ დიდი მუშაობა გასწიეს. 1981 წელს 1980 წელთან შედარებით ამოქმედდა 117,5 მილიონი მანეთით ანუ 9,5 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები. კაპიტალურმა დაბანდებამ სახალხო მეურნეობაში დაფინანსების ყველა წყაროს ხარჯზე შეადგინა 1.885 მილიონი მანეთი და 1980 წელთან შედარებით 2 პროცენტით გაიზარდა. მოქმედ საწარმოთა ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას მოხმარდა 236 მილიონი მანეთი. 1981 წელს სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის საერთო მოცულობამ შეადგინა 854 მილიონი მანეთი. სახელმწიფო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების მიერ შესრულებულ საიჯარო სამუშაოთა საერთო მოცულობა 1980 წელთან შედარებით გადიდდა 3 პროცენტით. 1980 წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა კაპიტალური დაბანდება საბინაო მშენებლობაში. საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.625 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის 24,8 ათასი ახალი კეთილმოწყობილი ბინა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი. საშინაო პირობები გაიუმჯობესა 138 ათასმა კაცმა.

შარშან მწყობრში ჩადგა ახალი დიდი საწარმოები. ცხინვალის ტრიკოტაჟის საცვლების ფაბრიკა, ზუგდიდის და წალენჯიხის ჩაის ფაბრიკები, ოჩამჩირის კომბინირებული საკვების ქარხანა და სხვა. კაპიტალურ მშენებლობაში მიღწეულ წარმატებებთან ერთად იყო ნაკლოვანებები. სახსრებსა და ძალებს ყოველთვის ვერ უყრიდნენ თავს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვან ობიექტებზე. მთელ რიგ ასამოქმედებელ ობიექტებზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების ტემპი საკმარისი არ აღმოჩნდა, რათა დადგენილ ვადებში გადაეცათ საექსპლოატაციოდ საწარმოო სიმძლავრეები და სხვა ნაგებობები. შემცირდა მოქმედ საწარმოთა ტექნიკური განახლებისა და რეკონსტრუქციის შედეგად ამოქმედებული ძირითადი ფონდები და ა. შ.

1981 წელს სახალხო მეურნეობისათვის მნიშვნელოვანი 62 ობიექტიდან საექსპლოატაციოდ გადაეცა 54. არ ამოქმედდა ეგრისის და კორბოულის მეცხოველეობის კომპლექსები, დედოფლის მებოცვრეობის კომპლექსი, ზუგდიდის ჩაის საწონი ფაბრიკა, წყალტუბოს სანატორიუმი და ბათუმის სასტუმრო. ჩამოთვლილ ობიექტთა მნიშვნელოვანი ნაწილის დამკვეთია სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ხოლო სამუშაოთა შემსრულებელი— სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ტრესტები.

შარშან ვერ შესრულდა აგრეთვე ძირითადი ფონდების ამოქმედების, კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმები. მთლიანად არ აუთვისებიათ კაპიტალური დაბანდებები საბინაო მშენებლობაში (94 პროცენტი). იგივე მდგომარეობაა სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ათვისების მხრივაც კომუნალური დანიშნულების ობიექტებზე (95 პროცენტი).

კაპიტალური მშენებლობის გეგმების შეუსრულებლობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია ნაკლოვანებები მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, არსებული ნაკლოვანებები ასამოქმედებელ ობიექტებს დროულად არ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური მოწყობილობით. ამ მხრივ ხშირად დაგეგმვაც მოიკოჭლებს.

არაერთხელ აღნიშნულა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაუმთავრებელი მშენებლობის ნორმატივამდე შემცირებას, 1980 წელს იგი 4 პუნქტით შემცირდა. შარშან კი დაუმთავრებელი მშენებლობა 89,1 მილიონი მანეთით, ანუ 3 პუნქტით გაიზარდა და წლის დამლევისათვის კაპიტალდაბანდებათა ლიმიტის მიმართ შეადგინა 93 პროცენტი, რაც დაახლოებით 25 პროცენტით აღემატება ნორმატიულს. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ 1981 წლის დასაწყისისათვის მარტო საწარმოო დანიშნულების მშენებლობის ობიექტთა რაოდენობამ დაახლოებით 8000 შეადგინა, ხოლო ერთდროულად მშენებარე ობიექტების რიცხვი 12 ათასს აღემატებოდა. სახსრების დაქსაქსვის შედეგად რესპუბლიკაში ყოველწლიურად აუმოქმედებელი რჩება დაახლოებით 400 ობიექტი.

კაპიტალური მშენებლობის წლიური გეგმების დროული ფორმირებისა და შესრულებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება დადგენილ ვადებში სამშენებლო პროგრამის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფას. ამ ბოლო პერიოდის მონაცემები მოწმობს, რომ ჩვენს რესპუბლიკაში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამის 5-10 პროცენტი წლის დასაწყისშიც კი არ არის ხოლმე უზრუნველყოფილი ტექნიკური დოკუმენტაციით. მშენებლობის სამინისტროს 1981 წლის საიჯარო სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით მხოლოდ 94,7 პროცენტით იყო უზრუნველყოფილი. მთელ რიგ ობიექტებზე მშენებლებს სექტემბერშიც კი არ ჰქონდათ ასეთი დოკუმენტაცია. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შარშანდელ გეგმაში შეტანილი 34 ობიექტი წლის დასაწყისიდან არ იყო უზრუნველყოფილი პროექტებით. ყოველივე ამან გაართულა მშენებელთა ისედაც დაძაბული საქმიანობა.

სერიოზული ხარვეზებით ხასიათდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია. ხშირად ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას ხელოვნურად ამცირებენ და მისი გადიდება მშენებლობის პროცესში ხდება. ამ უკანასკნელ პერიოდში მშენებარე ობიექტების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ყოველწლიურად დაახლოებით 200-250 მილიონი მანეთით იზრდება. სახარჯთაღრიცხვო ღირებულების არასწორი განსაზღვრა, წლის განმავლობაში მისი ცვალებადობა დეზორგანიზაციას იწვევს სამშენებლო პროგრამის დაგეგმვასა და შესრულებაში. ამიტომ საჭიროა გავაძლიეროთ პასუხისმგებლობა საპროექტო გადაწყვეტათა მაღალი ტექნიკური და ეკონომიკური დონის უზრუნველყოფის, მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების სწორი განსაზღვრის და ტექნიკური დოკუმენტაციით სამშენებლო ორგანიზაციების დროული უზრუნველყოფისათვის.

დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კაპიტალური მშენებლობის რიტმული მუშაობის დაგეგმვას. ეს ყველასათვის ცნობილი ჭეშმარიტებაა, მაგრამ ეს ასე არ ხდება. სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხაზით 1981 წელს პირველ კვარტალში დაიგეგმა ძირითადი ფონდების ამოქმედების მხოლოდ 7,7 პროცენტი, ხოლო მეოთხეში — 48,5 პროცენტი. ფაქტობრივი მონაცემებით, მან კიდევ უფრო არასასურველი სახე მიიღო: პირველ კვარტალში ამოქმედდა ძირითადი ფონდების 5,4 პროცენტი, ხოლო მეოთხეში — 57,9 პროცენტი. მიმდინარე წელს მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა. პირველ კვარტალში დაიგეგმა წლის განმავლობაში ასამოქმედებელი ძირითადი ფონდების მხოლოდ 6,3 პროცენტი. საქმის ასეთი ვითარება, როგორც ცნობილია, იწვევს ძირითადი ფონდების ამოქმედების წლიური გეგმების შეუსრულებლობას, აუარესებს მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს და აქვეითებს სამშენებლო პროდუქციის ხარისხს.

1981 წლიდან ყველა სახელმწიფო საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია მუშაობს სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით. რესპუბლიკაში შარშან სასაქონლო სამშენებლო პროდუქცია დაიგეგმა ხარვეზებით, არარიტმულად. ეს ტენდენცია გრძელდება წლეულსაც: პირველ კვარტალზე მოდის წლის განმავლობაში გათვალისწინებული სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის 6,9 პროცენტი. დამკვეთების მონაცემებით, სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის შარშანდელი გეგმა შესრულდა 79 პროცენტით, ხოლო სამშენებლო ორგანიზაციების ანგარიშგებით სახელმწიფო კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე 101 პროცენტით. სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის წლიური გეგმა მთლიანად შესრულა მშენებლობის სამინისტრომ, მაგრამ მასში შემავალი ტრესტებისა და სახლთსამშენებელი კომბინატების ნახევარმა ამ ამოცანას თავი ვერ გაართვა, სასოფლო მშენებლობის სამინისტროს და მისი ტრესტების ნაწილს არ შეუსრულებიათ სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის წლიური გეგმა. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობის საბოლოო შედეგებიდან გამომდინარე გეგმის მთავარი ღირებულებითი მაჩვენებელი სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მოცულობა გახდა, სამშენებლო ორგანიზაციებმა ამ საკითხს სათანადო ყურადღება არ დაუთმეს, რამაც თავის მხრივ არასასურველი გავლენა იქონია ეკონომიკური სტიმულირების ფონდების ფორმირებაზე.

წლეულს იანვარში რესპუბლიკაში არც ერთი მანეთის სასაქონლო, სამშენებლო პროდუქცია არ მიგვიღია, საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა არც ერთი საცხოვრებელი სახლი, არც სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის დავალება შესრულდა. მცდარ დაგეგმვასთან ერთად წლის დასაწყისში მცირე მოცულობის სამუშაოების შესრულებას ისიც იწვევს, რომ სამშენებლო ორგანიზაციები ფაქტობრივად უნდებიან წინა წლის ანგარიშში ჩათვლილი სამუშაოების განხორციელებას.

მველებურად იჩინა თავი მუშაობის მთავარმა ნაკლმა: — შედარებით რიტმულად იგეგმება და წლის დასაწყისშივე მეტი ყურადღება ექცევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა საერთო მოცულობის შესრულებას, ხოლო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება საწარმოო სიმძლავრეებისა და ობიექტების დანაბარმიერ ამოქმედებას, რესურსების კონცენტრირებას დასამთავრებელ ობიექტებზე და ობიექტების ამოქმედების დაჩქარებას. მშენებლები არსებითად ჯერ არ გადასულან სასაქონლო სამშენებლო პროდუქციის მაჩვენებლის მიხედვით თავიანთი მუშაობის შეფასებაზე და ეს ითქვა კიდეც მიმდინარე წლის 16 იანვარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის გაფართოებულ სხდომაზე. საჭიროა რესპუბლიკის სამშენებლო სამინისტროებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით მუშაობა რადიკალურად გარდაქმნან და დროულად იზრუნონ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის საკითხებზე, პარტიისა და მთავრობის 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის დანერგვაზე.

ახლებურად მუშაობის პირობებში სამშენებლო ორგანიზაციების საქმიანობის შეფასებისას ერთ-ერთი მთავარი როლი განეკუთვნება შრომის ნაყოფიერების ზრდას. მთლიანად რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში შარშან შესრულდა შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. ანალოგიური მდგომარეობაა მშენებლობის სამინისტროს სისტემაშიც. სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ხაზით კი შრომის ნაყოფიერება არ გაზრდილა.

კაპიტალურ მშენებლობაში შრომის ნაყოფიერების გადიდების მნიშვნელოვანი რეზერვია ბრიგადული იჯარით მუშაობის ფართო დანერგვა. შარშან საქართველოს სსრ სამშენებლო პროგრამის შესრულებაში მისმა წილმა 40,3 პროცენტი შეადგინა და იგი წინა წლის დონეზე დარჩა. ამ მხრივ უკეთესი მაჩვენებელი აქვს მშენებლობის სამინისტროს (54 პროცენტი) და ცუდი — სასოფლო მშენებლობის სამინისტროს (38,6 პროცენტი). ბრიგადულმა იჯარამ რესპუბლიკაში მოიცვა საბინაო და კომუნალური დანიშნულების ობიექტების 67,5 პროცენტი, სამრეწველო დანიშნულების ობიექტების — 33,6 პროცენტი და სასოფლო-სამეურნეო საწარმოო დანიშნულების ობიექტების — 29,1 პროცენტი.

ნიკოლოზ ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებმა საცხოვრებელი სახლების მშენებლობის ვადები დაახლოებით 6 პროცენტით შეამცირეს, კაპიტალურ მშენებლობაში სამეურნეო ანგარიშზე გადასული ბრიგადების ერთი წევრის საშუალო გამომუშავება 29,5 პროცენტით აღემატება მთლიანად მშენებლობაში ერთი მუშის საშუალო გამომუშავებას. ერთი მუშის საშუალო თვიური ხელფასი ზლობინის მეთოდით მომუშავე ბრიგადებში 11 პროცენტით მეტია. ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ახლებურად მომუშავე ბრიგადებში შრომის ნაყოფიერების გეგმა, მართალია, შესრულდა, მაგრამ წინა წელთან შედარებით იგი არ გაზრდილა. ეს მცდარი დაგეგმვის შედეგია.

როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, შარშან კაპიტალურ მშენებლობაში წარმატებებთან ერთად სერიოზული ნაკლოვანებებიც გვქონდა. მათი დროული აღმოფხვრა უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკის შემდგომ აღმავლობას.

ე. გაფრინდაშვილი,
გაზეთ „კომუნისტის" ეკონომიკური მიმომხილველი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური

სსრ კავშირის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ლექციების, მოხსენებებისა და საუბრების სანიმუშო თემატიკა

სსრ კავშირის მე-60 წლისთავი ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობისა და ძმობის დღესასწაულია.

შრომისა და გამარჯვებების ექვსი ათწლეული.

სსრ კავშირის შექმნა დიდი ოქტომბრის საქმის განგრძობაა.

სსრ კავშირის შექმნა ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებაა.

ვ. ი. ლენინი საბჭოთა მრავალეროვანი სახელმწიფოს დამაარსებელი და ხელმძღვანელია.

სსრ კავშირი ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხის სოციალისტური სამშობლოა.

საბჭოთა ხალხი ადამიანთა ახალი ისტორიული ერთობაა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის ავანგარდია.

ხალხთან ერთიანობა პარტიის ძალაა.

პარტიასთან ერთიანობა, მისი ხელმძღვანელობა ხალხის ძალაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიადი გარდამქმნელი ძალა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ინტერნაციონალისტ-ლენინელთა პარტია.

სკკპ XXVI ყრილობა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის შემდგომი განმტკიცების შესახებ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ეროვნულ საკითხზე ლენინური მოძღვრების შემოქმედებითი განვითარება.

ლ. ი. ბრეჟნევი სამშობლოს, ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის შესახებ.

სსრ კავშირის კონსტიტუცია ეროვნული პოლიტიკის ლენინური პრინციპების ხორცშესხმაა.

განვითარებული სოციალიზმი სსრ კავშირის ყველა ხალხის ისტორიული მონაპოვარია.

საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა.

სახელმწიფო მასების შეგნებით არის ძლიერი.

მუშათა კლასი ხალხთა ინტერნაციონალური შეკავშირების წამყვანი ძალაა.

ეროვნული ურთიერთობის განვითარება განვითარებული სოციალიზმის პირობებში.

სსრ კავშირის მე-60 წლისთავი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დღესასწაულია.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა მასების შემოქმედების მძლავრი წყაროა.

სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების შემდგომი დაახლოება.

ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსი სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობის მატერიალური საფუძველია.

რუსეთის სფს რესპუბლიკა პირველია თანასწორთა შორის.

ჩვენი რესპუბლიკა მეთერთმეტე ხუთწლედში.

მოსკოვი საბჭოთა კავშირის დედაქალაქია.

ბამი საყოველთაო-სახალხო მშენებლობაა.

დასავლეთ ციმბირი — სამშობლოს.

არაშავმიწანიადაგიანი ზონის გარდაქმნა სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკის საქმეა.

ჩვენი კოლექტივი დიადი მრავალეროვნული ძმობის ნაწილია.

ჩვენი კოლექტივის ინტერნაციონალური კავშირურთიერთობა.

ჩვენ ლენინური მეგობრობით ვართ ძლიერნი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სოციალური პოლიტიკის საერთო-სახალხო ხასიათი.

პარტიის ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისათვის.

ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის.

უკეთ რომ ვიცხოვროთ, მეტი და უკეთ უნდა ვიმუშაოთ.

საბჭოთა მეცნიერების წარმატებანი.

ეროვნული კულტურების აყვავება და ურთიერთგამდიდრება.

რუსული ენა ხალხთა დიადი ძმობის ენაა.

ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ.

ჩვენ პატრიოტები და ინტერნაციონალისტები ვართ.

სოციალისტური დემოკრატიის უპირატესობანი.

ადამიანებისადმი ყურადღება მუშაობის ლენინური სტილის მნიშვნელოვანი ნიშანია.

სოციალისტური ცხოვრების წესი საბჭოთა ხალხების დიადი მონაპოვარია.

საბჭოთა სახელმწიფო — ეს არის მშრომელთა ხელისუფლება.

სახალხო დეპუტატთა საბჭოები სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია.

საბჭოთა პროფკავშირები მშრომელთა გავლენიანი მასობრივი ორგანიზაციაა.

ლენინური კომკავშირი ახალგაზრდობის პატრიოტული და ინტერნაციონალური აღზრდის სკოლაა.

საბჭოთა არმია ხალხთა მეგობრობის არმიაა.

სოციალისტური სამშობლოს დაცვა სსრ კავშირის თითოეული მოქალაქის წმიდათაწმიდა ვალია.

სსრ კავშირის შექმნისა და წარმატებული განვითარების საერთაშორისო მნიშვნელობა.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარება.

მოძმე სოციალისტური ქვეყნების თანამეგობრობა.

სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის მშვიდობისმოყვარული, ინტერნაციონალისტური ხასიათი.

თანამედროვე იმპერიალიზმის ანტიხალხური არსი.

80-იანი წლების სამშვიდობო პროგრამა ხორციელდება.

მტკიცედ უკუვაგდოთ იმპერიალიზმის აგრესიული ზრახვები.

ეროვნულ წინააღმდეგობათა გამწვავება კაპიტალიზმის დროს.

საბჭოთა კავშირი ხალხთა საიმედო ბურჯია მშვიდობისათვის, დამოუკიდებლობისათვის, სოციალური პროგრესისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირი თანამიმდევრული მებრძოლია კაპიტალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ.

ნაციონალიზმი იმპერიალიზმის ძირგამომთხრელი საქმიანობის იარაღია.

ავამაღლოთ საბჭოთა ადამიანების რევოლუციური სიფხიზლე, მათი კლასობრივი შეგნება.

მშრომელი ადამიანის სილამაზე და სიდიადე.

ვამრავლოთ ჩვენი წვლილი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

სასურსათო პრობლემის გადაწყვეტა საერთო-სახალხო ამოცანაა.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია.

ვიმუშაოთ ეფექტიანად და ხარისხიანად, ძალღონის დაუზოგავად — ეს ჩვენი პატრიოტული და ინტერნაციონალური ვალია.

ყაირათიანად ვხარჯოთ ნედლეული, მასალები, ელექტროენერგია და სათბობი.

გადაჭრით ვებრძოლოთ ნაკლოვანებებს, განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა.

უფრო მაღლა ავწიოთ მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტური შეჯიბრების დროშა!

მთლიანად და გადაჭარბებით შევასრულოთ 1982 წლის დავალებები.

საიუბილეო წლის თითოეული დღე აღვნიშნოთ დამკვრელური შემოქმედებითი შრომით.

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებს შევასრულებთ!

სსრ კავშირის მე-60 წლისთავს — ღირსეული შეხვედრა!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახვედრად

მეცნიერი პლუს პრაქტიკოსი

სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაცია სახალხო ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შემდგომი განვითარების ძირითადი გზაა

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ჯანმრთელობის დაცვის სახალხო სისტემის ჩამოყალიბება საკაცობრიო მნიშვნელობის ერთ-ერთი მიღწევაა.

სახალხო ჯანდაცვის სისტემის განვითარება სამედიცინო მეცნიერებათა მიღწევებზეა დაფუძნებული. სამედიცინო დარგში კომუნისტური პარტიის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების ერთი უმთავრესი პირობაა **მედიცინის მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაცია.**

მედიცინაში ეს ინტეგრაცია მეცნიერ მედიკოსთა და ექიმ პრაქტიკოსთა ისეთ მიზნობრივ გაერთიანებას ნიშნავს, როდესაც პირველთა ძირითადი მოღვაწეობა ემსახურება იმას, რომ ჯანდაცვის სისტემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ექიმთა, მათი დამხმარე პერსონალის მეთოდიკური თუ ინფორმაციული უზრუნველყოფა სისტემატური პროგრესის, მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე დონეს შეესატყვისებოდეს. ამავე დროს ექიმთა საქმიანობაში წამოჭრილი ყოველგვარი პრობლემა, სათანადოდ დამუშავებული ინფორმაციით, მეცნიერთა იმ ჯგუფს უნდა მიუვიდეს, რომელიც საჭირო გააზრებასა და ექიმისათვის სწორი, მეცნიერულად ყოველმხრივ გამართული პასუხის მომზადებისა და განხორციელებისათვის აგებს პასუხს.

მართვის თეორიიდან გამომდინარე, საჭიროა მართვის ობიექტისა (ინტეგრაციაში შემავალი სპეციალისტები და დაწესებულებები) და მართვის ორგანოს (სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭო), მათი სტრუქტურულ-ფუნქციონური დანიშნულების, ინფორმაციის წყაროებისა და კავშირების, მისი მიღება-გამოყენებისა და საჭირო ტექნიკის ერთიან სისტემაში გაერთიანება და მართვის მიზანთან (მედიცინისა და პრაქტიკის ინტეგრაციის პროცესის დროში და სივრცეში ოპტიმიზაცია) დაკავშირება. ამ მხრივ კი ჩვენ დღესდღეობით მრავალი ნაკლი გვაქვს.

რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანდაცვის სისტემის შემდგომი განვითარებისათვის მოწოდებული ინტეგრაციის ძირითადი მიზანი ამ სისტემაში მოქმედი ყოველი ობიექტის, განსაკუთრებით კი სპეციალიზებულ სამედიცინო სამსახურთა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დონეზე დაყენება უნდა გახდეს. ეს ზოგადი მიზანი კარგა ხანია ჩამოყალიბდა, მაგრამ ორგანიზაციულად მედიკოსთა ფუნქციური გაერთიანების საფუძვლად არ არის აღიარებული. ამავე დროს არაერთი დაწესებულება მის განხორციელებას უკვე ემსახურება. მეტად საჭიროა დირექტიული გადაწყვეტილება, რომელიც ამ მიზანს კანონის ძალას მისცემს და იგი სათანადო ღონისძიებათა გეგმიანი გატარებისა და მიღებული შედეგების შეფასების კრიტერიუმადაც იქცევა.

მეცნიერების განვითარებაში ფუნდამენტურისა და გამოყენებითის დაპირისპირება, უთუოდ, დიდი შეცდომაა. საზოგადოების კეთილდღეობისათვის ორივე ამ მიმართულებას უნდა ხელის შეწყობა.

სამედიცინო დარგში ინტეგრაციის პროცესის ინტენსიფიკაცია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მისგან განპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უშუალო შედეგია. სტატიაში, რომელიც გაზეთ „კომუნისტში" შარშან 30 ივლისს გამოქვეყნდა, სათანადოდ არის გაშუქებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ძირითადი ნიშნები და თავისებურებანი, მათი მნიშვნელობა მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციისათვის. ამჯერად გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ მხოლოდ იმ ძირითად საკითხებზე, რომლებიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზეგავლენით მედიცინაში მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის პრობლემებთან და მათი გადაჭრის გზებთან არის დაკავშირებული.

ჩვენი ქვეყნის წამყვან სოციოლოგთა და მეცნიერებათმცოდნეთა დასკვნა, რომ სოციალისტური საზოგადოებრივი წყობა და მიმდინარე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ერთმანეთს აძლიერებენ და ხელს უწყობენ მეცნიერებისა და წარმოების (ანუ პრაქტიკის) ინტეგრაციას, სავსებით დასტურდება სახალხო ჯანდაცვის მაგალითზეც. კომუნიზმისათვის დამახასიათებელი ჰუმანური, დემოკრატიული და ადამიანის ჰარმონიულად განვითარებისათვის საჭირო პირობების შექმნა საზოგადოების საერთო კულტურის დონის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის და მათ შორის ჯანდაცვის სისტემის მკვეთრ აღმავლობას გულისხმობს. ინტეგრაცია ჯანდაცვის სისტემის ინტენსიური განვითარების ერთ-ერთი წამყვანი ფაქტორია. ამ აზრს თითქოს ყველა იზიარებს, მაგრამ ორგანიზაციულად იგი მედიცინის დარგში ჯერ კიდევ ძალზე ჩამორჩება სასურველ დონეს.

მკითხველმა ისე არ უნდა გაგვიგოს, თითქოს დღეს მედიცინაში ინტეგრაცია საერთოდ არ იყოს. ამ მხრივაც მეტად დიდია ჩვენი სახელოვანი ქართველი მეცნიერი მედიკოსების ამაგი. დრო ვერ წაშლის გ. მუხაძის, ი. ბერიტაშვილის, ი. გომართელის, ვ. ჟორდანიას, ს. ვირსალაძის, მ. ასათიანის, ა. ალადაშვილის, ნ. კახიანის და სხვათა სახელებს, რომელთა მოღვაწეობის შედეგად არა მარტო მათი მეცნიერული სკოლები ჩამოყალიბდა, არამედ სამედიცინო პრაქტიკის მეცნიერული განვითარების გზაც გაიკაფა საქართველოში.

ჩვენში და, საერთოდ, მთელ კავშირში უბნის ექიმისა და სასწრაფო დახმარების ექიმის საქმიანობას ჯერაც ბევრი ხარვეზი აქვს. არადა, ეს ჯანდაცვის პირველადი რგოლია, რომელიც მოსახლეობის ჯანმრთელობის უპირველეს სადარაჯოზე დგას და მისი ქმედუნარიანობის ამაღლება მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის ასევე უპირველესი, წამყვანი ამოცანა უნდა გახდეს. და განა საკვირველი არ არის, რომ სადღეისოდ ამ რგოლს მეცნიერთა ყველაზე ნაკლები ყურადღება ეთმობა?! კერძოდ, ჩვენთან რომ ეს ასეა, სამაგალითოდ ერთ ფაქტს მოვიყვან. ცნობილია ქ. თბილისის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ნაკლოვანებანი. ამასთან დაკავშირებით ჯანდაცვის ორგანოებში დიდხანს, წლების განმავლობაში იყო მსჯელობა, თუ როგორ ჩაგვება სასწრაფო სამსახურის საქმიანობაში უმაღლესი კვალიფიკაციის მეცნიერები, რომლებიც ასე მრავლად გვყავს რესპუბლიკის დედაქალაქში. გავიდა ხანი და შემუშავდა სათანადო დებულება, რომლითაც განსაზღვრული იყო მეცნიერთა მუშაობა ექსპერტებად სასწრაფო დახმარების სადგურში. დამუშავდა მუშაობის მეთოდიკისა და საჭირო ინფორმაციული ბაზის საკითხებიც. დებულება სამინისტროს კოლეგიამ მოიწონა და საჭირო ბრძანებაც გაფორმდა, შემდეგ ქირურგიის დარგში ექსპერტებთან მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარდა. თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო და მაინც, ზოგიერთი სუბიექტური ფაქტორისა და იმის გამო, რომ საერთო ხელშეწყობა აკლდა, საქმემ მაინც ვერ იხეირა. მეტად სასარგებლო იქნებოდა ინტეგრაციის ამ ერთ-ერთი ფრიად საჭირო ფორმის განხორციელება.

სამედიცინო დარგში ინტეგრაციის სამი ეტაპი უნდა გამოვყოთ: დღევანდელი, გარდამავალი და ის უმაღლესი, იდეალურს მიახლოებული, როდესაც სახალხო ჯანდაცვის განვითარების ძირითადი მიზნის მისაღწევად სამედიცინო მეცნიერება და პრაქტიკა, როგორც ერთიანი მექანიზმი ისე იმოქმედებს. ინტეგრაციის დღევანდელი პერიოდისათვის, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, დამახასიათებელია სტიქიურობა და ძირითადად პირად ინიციატივაზე დაყრდნობა. როცა საქმე მეცნიერთა და პრაქტიკოსთა ურთიერთობას ეხება, თითქოს ყველაფერი გვაქვს (კადრები, დაწესებულებები და გეგმები) და მაინც, ინტეგრაციის მდგომარეობა ნაკლებად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებს.

მედიცინის დარგში ინტეგრაციის ოპტიმიზაციის მისაღწევად აუცილებელ გარდამავალ პერიოდში, რომლის ხანგრძლივობის განსაზღვრა ძნელია, უნდა გადაწყდეს ამ პროცესისათვის დამახასიათებელი სისტემური პრობლემები. პრობლემათა კომპლექსიდან აღსანიშნავია:

— ძირითადი მიზნიდან გამომდინარე თითოეული სპეციალიზებული სამედიცინო სამსახურის განვითარების ერთიანი, პერსპექტიული სამეცნიერო-პრაქტიკული პროგრამების დამუშავება და დამტკიცება, რომელთა რეალიზაციის ხუთწლიანი და ყოველწლიური თემატური და პრაქტიკული ღონისძიებების გეგმები სრულად უნდა ეთხვეოდეს არსებული რესურსების ოპტიმალურად გამოყენების შესაძლებლობებს;

— სამედიცინო და ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტების კათედრების და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სტრუქტურული და ფუნქციური რეორგანიზაცია იმ მიზნით, რომ რაციონალურად შეასრულონ პროფილურ სპეციალიზებულ სამსახურთა მოთავის ფუნქციები, როგორც ეს ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაშია;

— ჯანდაცვის სისტემის მართვის ყოველი რგოლის მთავარ სპეციალისტთა ფუნქციების, უფლება-მოვალეობათა და საჭირო ინფორმაციული უზრუნველყოფის ძირეული მოწესრიგება, რათა მათ წარმატებით გაართვან თავი მედიცინაში ინტეგრაციის ხელმძღვანელთა პასუხსაგებ როლს;

— ჯანდაცვის სისტემის ყველა სამეცნიერო და პრაქტიკული დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების სისტემური გადაწყვეტა, რაც დაეფუძნება მოსახლეობის ავადობის, დემოგრაფიული ცვლილებებისა და სამედიცინო ობიექტებით მოსალოდნელი დატვირთვის გაანგარიშების შედეგებს.

— დაგროვილი მეცნიერული ცოდნის გამოყენების თვალსაზრისით მეცნიერ-მედიკოსთა და ექიმ-პრაქტიკოსთა შორის არსებული განსხვავების თანდათანობით ლიკვიდაცია ქმედითი ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემებისა და ორგანიზაციულ ღონისძიებათა მეშვეობით (მატერიალური სტიმულირების სისტემაში უმთავრესი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს პრაქტიკაში მიღებულ საბოლოო შედეგს);

— ასევე უნდა უზრუნველვყოთ ექიმ-პრაქტიკოსთა გეგმიანი მონაწილეობა სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში სამეცნიერო-პრაქტიკულ პროგრამათა შესაბამისად და სამუშაოთა დაგეგმვის, კონტროლის, შეფასებისა და სტიმულირების ერთიანი სისტემის გამოყენებით;

— ჯანდაცვის ორგანოთა, სპეციალიზებულ სამსახურთა და დაწესებულებათა, აგრეთვე მედიცინაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვის სისტემების სრული ინტეგრაცია ერთიანი ინფორმაციული ბაზის შექმნის, ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდების, სხვადასხვა მოდელებისა და გამოთვლითი ტექნიკის რაციონალური გამოყენების გზით;

— რესპუბლიკურ საპრობლემო კომისიათა და სამეცნიერო საზოგადოებათა მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის მოთხოვნილებათა დონემდე აყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა განხორციელება, სამეცნიერო თემატიკის ფინანსირების დამტკიცებისა და მიღებული შედეგების შეფასების ეტაპებზე მათი წამყვანი როლისა და მნიშვნელობის გაზრდის გზით;

— თითოეული სპეციალიზებული სამედიცინო სამსახურისათვის აუცილებელი საინფორმაციო სისტემის შექმნა;

— ჯანდაცვის პრაქტიკულ ამოცანათა გადაწყვეტაში მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა; სანგანათლების მიზნით პრესის, რადიო და სატელევიზიო საშუალებათა გამოყენების ინტენსიფიკაცია.

მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის გარდამავალ პერიოდში კიდევ მრავალი „მცირე" პრობლემაც იქნება გადასაწყვეტი. მათ უპირატესად სუბიექტური ფაქტორები და ჩვეული კონსერვატიზმი განაპირობებს და ჯერ კიდევ გაუთვალისწინებელ სპეციალურ ღონისძიებათა შემუშავებას მოითხოვს. ამ პერიოდისათვის აუცილებელი მოსამზადებელი სამუშაოები ჩვენს სისტემაში უკვე დაწყებულია ჯანდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობით და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყველა პირობაა წარმატების მოსაპოვებლად. ამ დიდი და სერიოზული ამოცანის გადასაწყვეტად, რაღა თქმა უნდა, არსებითი მნიშვნელობა ექნება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მომავალი პლენუმის გადაწყვეტილებებს.

კონკრეტულად რა გვაქვს მხედველობაში ასეთი განცხადებისას?

— უპირველეს ყოვლისა, გამოცდილ თუ ახალგაზრდა მედიკოსთა უმრავლესობის დიდი სურვილი, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონეს არ ჩამოუვარდებოდეს მათი ცოდნისა და პრაქტიკული საქმიანობის მაჩვენებლები. შემდეგ: სამედიცინო მეცნიერებისა და მომიჯნავე დარგების თვალსაჩინო მიღწევები, რომელთა აღქმა-ათვისება და პრაქტიკულ თუ სამეცნიერო მოღვაწეობაში გამოყენება ჩვენს ახალგაზრდობას არ გაუჭირდება, ოღონდ საჭიროა ამ მიზნითაც უფრო უკეთ გამოვიყენოთ მატერიალური სტიმულირება და ორგანიზაციული ღონისძიებები. უთუოდ გვჭირდება სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების საქმიანობის პრინციპული გარდაქმნა, რათა მისი მეოხებით ყველა მომავალი ექიმი სტუდენტობის წლებში რიგიანად დაეუფლოს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიასა და სპეციალობის შესატყვისი კვლევის მეთოდებს, შეიძინოს მეცნიერის, მკვლევარის უნარი და თვისებები. ახალგაზრდები უფრო ხშირად უნდა მივავლინოთ ჩვენი ქვეყნის მოწინავე სამედიცინო დაწესებულებებში თუ საზღვარგარეთ მისაბაძი გამოცდილების გასაცნობად და შესასწავლად. აქ ერთ-ერთი წამყვანი როლი საჯაროობის პრინციპზე აგებული ინფორმაციული სისტემის გამოყენებამ უნდა შეასრულოს. საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების ათიოდე წლის წინანდელი პერიოდისთვის დამახასიათებელმა ნეგატიურმა მოვლენებმა, პროტექციონიზმმა და სამედიცინო კადრების შერჩევის პოლიტიკაში დაშვებულმა დარღვევებმა ახალგაზრდობის ერთ ნაწილს მომავლის რწმენა შეურყია, აქტიურობის უნარი შეუმცირა. მათ აუცილებლად სჭირდებათ და უნდა შევუქმნათ კიდევაც კეთილსინდისიერი და სისტემატური შრომით მისაღწევი ნათელი პერსპექტივა. ახალგაზრდებმა ჯერ კიდევ მედინსტიტუტში სწავლის დაწყებამდე უნდა იცოდნენ, ხოლო შემდეგ სწავლის წლებში და მუშაობის დაწყებისთანავე უნდა იგრძნონ და ირწმუნონ, რომ მხოლოდ მათი ცოდნისა და გარჯის, მიღებული შედეგის ობიექტური შეფასება განსაზღვრავს ყველაფერს, იქნება ეს წინსვლა მეცნიერებაში, მატერიალური თუ მორალური სტიმულირება.

სასწრაფო დახმარების მომავალი ექიმის ინდივიდუალური განვითარების ასეთი კონცეპტური მოდელის ერთი ვარიანტი უკვე გვაქვს. სისტემური მიდგომის პრინციპებიდან გამომდინარე ეს მოდელი, სტუდენტობიდან დაწყებული ექიმის პენსიაზე გასვლამდე, სადღეისოდ არსებულ ყოველგვარი მოთხოვნილების კომპლექსის შესრულებას ითვალისწინებს და ამავე დროს ექიმთა დიფერენცირებული სტიმულირების საშუალებას იძლევა. მოდელის ეს ვარიანტი გამოთვლით მანქანაზე იმიტაციისათვის მზადდება და მალე მეტად საჭირო მანქანური ექსპერიმენტების ჩატარების საშუალებას მოგვცემს. მიღებულმა შედეგებმა უთუოდ უნდა გაუხსნას გზა ექიმთა საქმიანობის დიფერენცირებული შეფასებისთვის აუცილებელ სისტემათა ფართოდ გამოყენებას და მათ საფუძველზე მედიცინის დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციისათვის შესატყვისი ინფორმაციული წესრიგის დამყარებას. ვფიქრობთ, ეს ძირითადი პირობაა ახალგაზრდა სპეციალისტის შეგნებაში არა მარტო მომავალი რწმენის განსამტკიცებლად, არამედ საზოგადოებისათვის საჭირო „ვიწრო" სპეციალისტთა ოპტიმალური რაოდენობისა და ხარისხოვანი კადრების მოსამზადებლადაც.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის გათვალისწინებით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ამ ხუთწლედის ბოლოს და 1990 წლისათვის მედიცინის დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციისათვის საწარმოო ექსპლოატაციაში I და II რიგის ავტომატიზებულ ინფორმაციულ სისტემათა კომპლექსი შევა. პრობლემა ორიენტირებულ კითხვარებზე აგებული ასეთი სისტემები ინტეგრაციის მონაწილეებს პრაქტიკული თუ მეცნიერული მიზნებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალებას მისცემს.

სამედიცინო მეცნიერებისა და პრაქტიკის კვლევის ობიექტის-ადამიანისა და მისი გარესამყაროს ერთიანობაში შესწავლის აუცილებლობიდან გამომდინარე ინფორმაციის შეგროვების მეთოდიკური იდენტურობა მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის წამყვანი ფაქტორია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ექსპერიმენტული მედიცინის სპეციფიკურ მეთოდებს. მედიკოსებს ხელთ ექნებათ ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე მიღებული პირველადი მონაცემები. ამ მონაცემებს შეინახავენ ავტომატიზებულ სისტემათა მეშვეობით. ნაწილი ასეთი სისტემებისა უკვე გვაქვს და ძირითადად პრაქტიკული დანიშნულებისათვის ვიყენებთ.

მომავალი ინტეგრაციის პირობებში მანქანური დისტანციური საკონსულტაციო-დიაგნოსტიკური სისტემების გამოყენება შესაძლებელს გახდის, რომ ყველა პრეცედენტისა და მკურნალობის სხვადასხვა მეთოდის უსწრაფესი შედარების მეშვეობით ამ სისტემის დაუფლებულმა ყოველმა ექიმმა მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტთა ცოდნის დონესთან იქნება მიახლოებული (რამდენადაც სწორედ უმაღლესი კატეგორიის სპეციალისტთა ცოდნისა და გამოცდილების განზოგადოების გზით ხდება ამ სისტემათა დამუშავება). მომავალმა მეცნიერმა ექიმმა გამოთვლითი მანქანიდან მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები შემოქმედებითად უნდა გამოიყენოს და არამც და არამც არ უნდა იქცეს მანქანის ტექნოკრატ-დანამატად. ამისათვის ექიმი თვით უნდა იყოს ვიწრო სპეციალობის თანამედროვე ფუნდამენტური და გამოყენებითი ცოდნის დონეზე, ეს კი ინტეგრაციის პროცესში ჩაუბმელად წარმოუდგენელია.

მიმდინარე ინტეგრაციის დამახასიათებელი კვლევის ინდუსტრიულ მეთოდთა გამოყენებას მედიცინის დარგში, ინტეგრაციის სპეციფიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი თავისებურებანი აქვს: ადამიანის, როგორც კვლევის ობიექტის უნიკალურობა და უაღრესი სირთულე; საჭირო ინფორმაციის შეკრება-ანალიზის მრავალფეროვნება; გარე სამყაროსთან მისი ურთიერთობის ვარიაბელობა; საჭირო ავტომატიზებულ სისტემათა ჯერ კიდევ დაბალი მწარმოებლობა და სხვა.

ინტეგრაციის მართვის აუცილებლობიდან გამომდინარე მიზანშეწონილი ჩანს, წამყვან სპეციალისტთა მონაწილეობით მეთაურ დაწესებულებებში შეიქმნას აქტუალურ პრობლემათა ნუსხა, რომლის მეთოდიკური ინფორმაციული და ორგანიზაციული უზრუნველყოფა პრაქტიკოსთა მოთხოვნილებებსა და ადგილობრივ შესაძლებლობებს შეესატყვისება. ამ სამუშაოთა რაციონალურად შესასრულებლად ყველა სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში უთუოდ მკვეთრად უნდა გაძლიერდეს სამეცნიერო-საორგანიზაციო, საგეგმო-საფინანსო და ინფორმაციული სამსახური. დღესდღეობით ბევრწილად სწორედ ამ ქვედანაყოფების ნაკლოვანებები აფერხებენ მედიცინის დარგში მეცნიერებისა და პრაქტიკის ინტეგრაციის პროცესს.

მთელი მსჯელობა ცხადყოფს, რომ მომავალ ექიმთა უმრავლესობა ერთდროულად მეცნიერი მუშაკიც და პრაქტიკოსიც უნდა იყოს, ხოლო დღეს მოღვაწე ექიმთა მოწინავე ნაწილი უახლოეს წლებშივე უნდა ჩაებას სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში. ამ ძირითადი პრინციპული დასკვნიდან გამომდინარე პერსპექტივის რეალიზაცია კი სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებათა გეგმის შექმნასა და დამტკიცებას მოითხოვს. მასში კონკრეტულად უნდა აისახოს, ვინ რა უნდა გააკეთოს დღეს, უახლოეს მომავალში და, საერთოდ, პერსპექტივაში სამედიცინო კადრების პოლიტიკის ძირეული შეცვლისათვის, რათა იგი მედიცინაში ინტეგრაციის გატარების პრინციპებს ახორციელებდნენ და ამით ხელს უწყობდეს ჯანმრთელობის დაცვის სახალხო სისტემის განვითარებას რესპუბლიკაში.

გ. ვასაძე,
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო-სამედიცინო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი.

ფაქტები მოვლენები

გვატყობინებენ საქდესისა და ახალი ამბების სააგენტოს კორესპონდენტები

13 მარტი

აიკრძალოს ქიმიური იარაღი

ჟენევა. განიარაღების კომიტეტი განაგრძობს ქიმიური იარაღის აკრძალვის პრობლემის განხილვას.

ბულგარეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, სსრ კავშირის, უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციებმა წარმოადგინეს დოკუმენტი „ბინარული იარაღი და ქიმიური იარაღის ეფექტიანი აკრძალვის პრობლემა". სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ლ. ისრაელიანმა, რომელმაც კომიტეტის განსახილველად შეიტანა ეს დოკუმენტი, განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების გადაწყვეტილება ქიმიური იარაღის ფართო მასშტაბით წარმოებისა და შემდეგ სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე მისი განლაგების, უწინარეს ყოვლისა, ევროპაში გაშლის შესახებ, არსებით დამატებით სიძნელეებს უქმნის ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის შემუშავებას და შეთანხმებას.

სოციალისტურმა ქვეყნებმა განაცხადეს, რომ განიარაღების კომიტეტი — ეს არის ორგანო, რომელზეც დღეს საერთაშორისო საზოგადოებრიობა დიდ იმედებს ამყარებს ასეთი კონვენციის პროექტის შემუშავების თვალსაზრისით, და იგი ვერ აუვლის გვერდს ნეგატიურ შედეგებს, ამერიკის შეერთებული შტატების ამ გადაწყვეტილებას რომ მოჰყვება გამალებული შეიარაღების შეზღუდვისა და განიარაღებისათვის.

განიარაღების კომიტეტში

სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებმა გაითვალისწინეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 36-ე სესიის რეზოლუცია — მოწოდება ყველა სახელმწიფოსადმი თავი შეიკავონ ბინარული და სხვა ახალ სახეობათა ქიმიური იარაღის წარმოებასა და განლაგებაზე, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ქიმიური იარაღის განლაგებაზე, და განიარაღების კომიტეტის ყურადღება მიაპყრეს იმას, რომ საჭიროა ყოველმხრივ იქნეს გაანალიზებული და გულდასმით შესწავლილი ბინარული ქიმიური იარაღის აკრძალვის ყველა ასპექტი.

სსრ კავშირის, ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციებმა შეიტანეს აგრეთვე კონკრეტული წინადადებები, რომლებიც ითვალისწინებენ ქიმიური იარაღის აკრძალვის მომავალ კონვენციაში ასეთი იარაღის განლაგების აკრძალვის, აგრეთვე სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიიდან მისი გატანის დებულებათა დამატებას.

მასობრივი მოსპობის ამ სახეობის იარაღის აკრძალვის საკითხისადმი საპირისპირო მიდგომას იჩენენ დასავლეთის სახელმწიფოები. ამერიკის შეერთებული შტატებს, რომელიც თავისი ქიმიური იარაღის არსენალის გაფართოებისა და განახლების კურსს დაადგა, უკვე კარგა ხანია ქიმიური იარაღის აკრძალვის შესახებ ყოველგვარი მოლაპარაკება თავის შორსგამიზნული გეგმების რეალიზაციის დაბრკოლებად მიაჩნია. ამიტომაც არის, რომ ამერიკის შეერთებული შტატების და მისი ნატოელი მოკავშირეები ცდილობენ არ დაანებონ განიარაღების კომიტეტს პრაქტიკული ღონისძიებების განხორციელება ქიმიური იარაღის აკრძალვის კონვენციის მომზადებისათვის, ხელოვნურ დაბრკოლებებს ქმნიან კონსტრუქციული მოლაპარაკების გზაზე.

ფოტოინფორმაცია

საბჭოთა წიგნი ინდოეთში

დელი. მეხუთე საერთაშორისო წიგნის ბაზრობაზე დამთვალიერებელთა დიდი ინტერესი გამოიწვია საბჭოთა საგარეო-სავაჭრო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის" ექსპოზიციამ (სურათზე). სტენდებზე გამოფენილია 8 ათასზე მეტი წიგნი, რომლებიც გამოუშვეს გამომცემლობებმა „პროგრესმა", „მირმა", „ავრორამ", „მალიშმა" და სხვებმა. საბჭოთა წიგნის პროდუქციას, პერიოდულ გამოცემებს, მარკებს, გრამფირფიტებს ყიდის ინდოეთის ერთ-ერთი წამყვანი გამომცემლობა „პიპლზ პაბლიშინგ ჰაუსი", რომელიც თითქმის 25 წელიწადია „საერთაშორისო წიგნთან" თანამშრომლობს. ამ ფირმას ყოველწლიურად სსრ კავშირიდან შეაქვს 2 მილიონზე მეტი ცალი სხვადასხვა წიგნი.

საქდესის ფოტო.

კონფლიქტის საფრთხე გაძლიერდა

ყოფილი სახელმწიფო მდივანი რ. რეიგანის პოლიტიკის შესახებ

ნიუ-იორკი. მკაცრად გააკრიტიკა ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის საგარეო პოლიტიკა შეერთებული შტატების ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა ს. ვენსმა. გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის" კორესპონდენტისადმი ინტერვიუში მან, კერძოდ, განაცხადა, რომ შეიარაღების შეზღუდვის დარგში პრეზიდენტ რეიგანის კრიტიკაში „პოზიტიური მიზნების უქონლობას" შედეგად მოჰყვა ის, რომ „გაძლიერდა შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე". ამავე დროს, ვენსის თქმით, საბჭოთა კავშირის სერიოზული მიდგომა „ოპტიმიზმს გვისახავს იმის თაობაზე, რომ დაიდება შეთანხმებანი როგორც ბირთვული, ისე ჩვეულებრივი შეიარაღების დარგში". საბჭოთა კავშირი ახლავე მზად არის აწარმოოს კონსტრუქციული მოლაპარაკება ევროპაში ყველა სახეობის შეიარაღებული ძალების და შეიარაღების პარიტეტის მიღწევის შესახებ, ამასთან გამოიჩინოს მოქნილობა და მისწრაფება გონივრული კომპრომისისადმი", — თქვა მან.

ვენსმა ვაშინგტონს ბრალად დასდო „პრიმიტიული მიდგომა" ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისადმი და გამოთქვა აზრი, რომ ადმინისტრაციის მილიტარისტული რიტორიკა და ზოგიერთი ბირთვული შეიარაღების შეზღუდვის თაობაზე მოლაპარაკების განახლების საკითხში [illegible] და ერთ-ერთი მიზეზი დასავლეთ ევროპაში მძლავრი ომის საწინააღმდეგო მოძრაობის წარმოშობისა.

მადრიდის შეხვედრაზე

გამოცხადდა შესვენება

მადრიდი. ნეიტრალური და მიუმხრობელი ქვეყნების დელეგაციათა წინადადებით მადრიდის შეხვედრის მუშაობაში გამოცხადდა შესვენება ამა წლის ნოემბრამდე.

12 მარტის პლენარულ სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. ფ. ილიჩოვი.

სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა მან, ბევრ სხვა დელეგაციასთან ერთად, მიუხედავად განზრახ შექმნილი მრავალი სიძნელისა, ყველა ღონეს ხმარობდა მადრიდის ფორუმზე ისეთი ეფექტიანი შედეგების მისაღწევად, რომლებიც შეესაბამება ევროპის ხალხების ძირეულ ინტერესებსა და მისწრაფებებს. ეს ჩვენი ურყევი და პრინციპული ხაზია, ჩვენი თანამიმდევრული კურსია.

საბჭოთა წარმომადგენელი შეჩერდა იმ მიზეზებზე, რომლებმაც ხელი შეუშალეს იმას, რომ შეხვედრის მუშაობა ახლანდელ ეტაპზევე დამთავრებულიყო.

რაიმე პოზიტიური შედეგების მიღწევა, განაცხადა მან, შეუძლებელი გახდა იმ ობსტრუქციონისტული პოზიციის გამო, რომელსაც, უწინარეს ყოვლისა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი ნატოელი მოკავშირეების დელეგაციები დადგნენ.

ვინ, ვინ არი...

რატომ გადადგა სენატორი

ვაშინგტონი. დემოკრატი სენატორი ნიუ-ჯერსის შტატიდან ჰ. უილიამსი გადადგა. ამ მექრთამე კანონმდებლის საქმეს ახლა იხილავენ ამერიკის შეერთებული შტატების სენატში.

უილიამსი ამხილეს ოპერაცია „აბსკემის" მსვლელობაში, რომელიც გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებმა განახორციელეს „მდიდარი არაბი შეიხების" სახით. გულუხვი გასამრჯელოს ფასად კონგრესის მთელი რიგი წევრები კაპიტოლიუმში თავიანთი გავლენის იმედით „შეიხებს" დათანხმდნენ, რომ დაეხმარებოდნენ სარფიანი გარიგებების დადებაში. ნიუ-იორკის ფედერალურმა საოლქო სასამართლომ უილიამსს მიუსაჯა 50 ათასი დოლარი ჯარიმა და სამი წლით პატიმრობა.

მოგზაურობა

დედამიწის გარშემო

სან-ფრანცისკო. ამერიკელი ტომ ჯევითი აპირებს მაისის [illegible] დეგს ძირხდაუშვებლად შემოუფრინოს დედამიწას. ამ მიზნით სპეციალურად აგებულ თვითმფრინავს, რომლის სიგრძე [illegible] მეტრია და ფრთების საერთო [illegible] განი — 16 მეტრი, თან ექნება 1800 ლიტრი საწვავი. კონსტრუქტორთა ვარაუდით, ერთი ლიტრი საწვავი უნდა ეყოს 25 კილომეტრის გასავლელად.

ფრენა განხორციელდება 6.600-8.800 მეტრ სიმაღლეზე [illegible] ოთხ დღეს გასტანს. როგორც ჯევითი ამბობს, ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ ათ საათს იძინებს. თვითმფრინავი აღჭურვილია ავტოპილოტით და სხვა საჭირო მოწყობილობით [illegible] შემთხვევაში სიმაღლის დაკარგვაზე ან კურსის შეცვლაზე რეაგირებისათვის.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს განცხადება

ჰანოი. ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს განცხადებაში დაგმობილია ჩინეთის ხელისუფალნი ვიეტნამის მეთევზეთა გემის უკანონო დატყვევების გამო. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ეს პირველი შემთხვევა როდია, როცა პეკინი პროვოკაციული მიზნით ახორციელებს თავდასხმას ტერიტორიულ წყლებში ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მებადურებზე და ხელს უშლის მათს მშვიდობიან რეწვას.

ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ შეუწყნარებელია ამგვარი პროვოკაციები და მოითხოვს ჩინეთის მხარემ დააბრუნოს ვიეტნამის მებადურეთა ყველა გემი და მათი ეკიპაჟები, კვლავაც არ დაუშვას უკანონო შეჭრა ვიეტნამის ტერიტორიულ წყლებში.

პროფესიათა გზაჯვარედინი

შეხვედრის თემა: სამომავლო ორიენტაცია

თბილისისა და რესპუბლიკის ზოგიერთ საშუალო სკოლაში კარგა ხანია შესანიშნავი ტრადიცია დამკვიდრდა. მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის შეხვედრები ეწყობა სამრეწველო საწარმოების, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენლებთან.

ცხოვრებამ ცხადყო, რომ მსგავსი ღონისძიებების განხორციელების პრაქტიკული მნიშვნელობა დაუდებელია. ჩვენ არა ერთხელ და ორჯერ გავმხდარვართ მოწმენი შემთხვევებისა, როცა ასეთი შეხვედრების შემდეგ, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულ ახალგაზრდებს სწორი გადაწყვეტილება მიუღიათ და მთელი კლასიც კი უფროსების მიერ ნარჩევ გზას დადგომია. მართალია, ამ გზას ბოლომდე ყველა არ გაჰყოლია, მაგრამ ამაში ახალგაზრდები კი არა, ისევ უფროსები ვცოდავთ. თუმცა, ეს უკვე სხვა სალაპარაკო თემაა და ამაზე დღეს არ გავამახვილებთ მკითხველის ყურადღებას.

ამ ბოლო ხანს გახშირდა მოსწავლეთა და მასწავლებელთა შეხვედრები უმაღლესი სკოლების წარმომადგენლებთან, მაგრამ მთავარი ეს როდია. საქმე ის არის, რომ შეხვედრები, თუ შეიძლება, ასე ითქვას, დაიხვეწა, უფრო კონკრეტული, საგნობრივი გახდა. ასე იყო, მაგალითად, ამ დღეებში თბილისის № 99 საშუალო სკოლაში, სადაც სკოლის დირექტორის მ. აგლაძისა და ქიმიის პედაგოგის ნ. გიგნაძის მოწვევით მოსწავლეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიის ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები ესტუმრნენ. მათთან ერთად მოვიდნენ ამავე ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც № 99 საშუალო სკოლა დაუმთავრებიათ. ტრადიციულად, თურმე, ამ სკოლის ძალიან ბევრი კურსდამთავრებული ხდება ქიმიკოსი და ამას, როგორც თვით მოსწავლეებმა ილაპარაკეს, ამ საგნის მასწავლებლების ცოდნის მაღალი დონე, მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობა განაპირობებს.

პროფესორ-მასწავლებლებმა საინტერესოდ ისაუბრეს ქიმიაზე ზოგადად და, კერძოდ, სახალხო მეურნეობაში მის უდიდეს მნიშვნელობაზე. უნდა ითქვას, რომ მათი აზრით მაინც და მაინც აუცილებელი არ არის უმაღლეს სასწავლებელს მიაშუროს ყველამ, ვისაც ქიმია უყვარს. ეს შეუძლებელია და არც არის საჭირო. არჩეული პროფესიის სიყვარული ახალგაზრდებმა საწარმოებშიც უნდა დაამტკიცონ. მათ მოუთმენლად ელიან რუსთავის ქიმიური და სინთეზური ბოჭკოების ქარხნები, „საქსამთოქიმმრეწვის“ საწარმოები, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვა დარგები. ბევრი ამ სკოლის კურსდამთავრებული ალბათ ასეც მოიქცევა და ეს მისასალმებელი იქნება. ჩვენს ქარხნებს, ფაბრიკებს, კომბინატებს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს, სხვა დარგებს ძალიან ესაჭიროებათ ახალგაზრდების შემართებული შრომა, მათი საქმისადმი ერთგულება, ენთუზიაზმი.

პროფესორ-მასწავლებლებისა და მოსწავლეების შეხვედრა ბავშვთა პროფესიულ ორიენტაციას დიდად შეუწყობს ხელს, თუ ისევე კონკრეტული და საგნობრივი იქნება, როგორც ეს თბილისის № 99 საშუალო სკოლაში იყო.

შ. ამაშუკელი,
„კომუნისტის“ კორ.

ახლად არჩეული მდივნებისათვის

თერჯოლა. ახლახან პარტიის რაიკომმა ახლად არჩეული პარტორგანიზაციის მდივნების სწავლების მიზნით მოაწყო ორდღიანი სემინარი. მოხსენება „სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანები“ გააკეთა პარტიის თერჯოლის რაიკომის მდივანმა ნ. ქოჩიაშვილმა.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს აგრეთვე მოხსენებები პარტიულ-პოლიტიკური, ორგანიზატორული მუშაობის ფორმების და მეთოდების, მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა განხორციელებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ამოცანების შესახებ, სხვა საინტერესო საკითხებზე.

ვ. კუტალაძე.

ტექნიკური პროგრესის პიონერები

12 მარტს კრემლში სსრ კავშირის 1981 წლის მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის სახელმწიფო პრემიების ლაურეატთა დიპლომები და საპატიო ნიშნები გადაეცათ მეცნიერებსა და ინჟინრებს — ფუნდამენტური გამოკვლევების ავტორებს და ეფექტიანი მანქანებისა და გამომთვლელი კომპლექსების, მსოფლიოში საუკეთესო ელექტროძრავებისა და ავტომატიზაციის სისტემების შემქმნელებს. როგორც წინა წლებში, ახლაც ლაურეატთა შორის არიან ბევრი მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. საზეიმო ცერემონიაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ვ. პ. ელიუტინმა აღნიშნა, რომ დაჯილდოებულთა ნამუშევრები დამაჯერებლად მოწმობენ მეცნიერების მზარდ როლს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებაში. (საქინფორმი).

გიორგი ლებანიძე

ამხანაგი გუბერნატორი

მხატვრული ფილმის ლიტერატურული სცენარის ნაწყვეტები

ქალაქში მეორე დღესაც გაგრძელდა დემონსტრაციები და პროტესტები. ამის პასუხად შავრაზმელებმა მანიფესტაცია მოაწყვეს. აი, დაიძრა გოლოვინის პროსპექტზე მათი პროცესია, ხელში ხატები და ბაირაღები ეჭირათ, მღეროდნენ: „ღმერთო, ჰფარვიდე მეფეს!“, წინ ცხენოსანი დრაგუნები მიუძღოდათ, აქეთ-იქიდან კაზაკები მიჰყვებოდნენ, ბოლოს ქვეითი იუნკრები და კადეტები მიაბიჯებდნენ. ვაჟთა პირველი გიმნაზიის, გაზეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ რედაქციის და სხვა შენობებს წინ ჯარისკაცები ჩარიგებულიყვნენ.

გიმნაზიას რომ უწიეს, მანიფესტანტთა რიგებში რაღაც ჩოჩქოლი და ყვირილი ატყდა. თურმე შავრაზმელებს გიმნაზიელებისთვის მოუთხოვიათ, ქუდები მოიხადეთო, ისინი კი არ დამორჩილებიან.

სწრაფად შენობისაკენ გაემართნენ. ვასილიც მათში ერია. ბრბოდან ვიღაცამ მათ ტყვია ესროლა. თითქოს ეს იყო ნიშანი, დაიწყო ხოცვა-ჟლეტა...

გაცოფებულმა შავრაზმელებმა მარტო ბავშვებს კი არა, მოსეირნე საზოგადოებასაც აუტეხა სროლა, რომელიც მეფის მიერ 17 ოქტომბრის მანიფესტით ნაბოძები ილუზიური თავისუფლების დღეებით ტკბებოდა.

შავრაზმელები გიმნაზიის შენობაში შეცვივდნენ. ხელი არ აჰკანკალებიათ, ისე უშენდნენ ტყვიას, ჩექმებით თელავდნენ მათ ფერხთით მოფართხალე ბავშვებს, არაფრად აგდებდნენ მათ ხვეწნა-მუდარას. რა გულმოდგინედაც ცხრილავდნენ მათ უსუსურ სხეულებს, ისევე დაფლითეს ბალიშებიც გიმნაზიელთა საძილე ოთახებში — პროკლამაციებს ეძებდნენ. დაარბიეს ლაზარეთი და ეკლესიაც, გიმნაზიის დირექტორი გამყრელიძე და მასწავლებლები ამაოდ ემუდარებოდნენ მოძალადეებს, ბავშვები შეიბრალეთო.

— რას სჩადიხართ?!

— რას სჩადიხართ?! გემუდარებით, შეჩერდით, ადამიანები არა ხართ? ესენი ხომ ბავშვები არიან!

გადაეფარნენ ბავშვებს, ხიშტებს ხელებს უშვერდნენ, მაგრამ არ არსებობდა ძალა, გამხეცებული ეგზეკუტორები რომ შეეჩერებინა. სამი მასწავლებელი იქვე მოკლეს. გამყრელიძე გიმნაზიის შენობაში მოთავსებული თავისი ბინის კარებში ჩადგა, მომხდურთ გზა გადაუღობა:

ბინაში უმცროსკლასელი მოსწავლეები ჰყავდა დამალული.

— პატარები მაინც შეიბრალეთ!

ვიღაცამ კონდახი ჩაარტყა თავში. იგი შეტორტმანდა და დაეცა. უმალ მიეჭრა ვასილი, გვერდზე გაათრია. გამყრელიძე ძლივს მოეგო გონს, ნელა, მძიმედ წამოდგა, ვასილს თავზე გადაუსვა ხელი, მერე მტვერი ჩამოიბერტყა, მუნდირის კალთები გაისწორა და ჟილეტის პატარა ჯიბეში პენსნეს დაუწყო ძებნა, თუმცა პენსნე წვრილი ძეწკვით ყელზე ეკიდა. თმაზე ხელი გადაისვა, გაოცებით დაიხედა სისხლით მოსვრილ თითებზე. დაბნეულმა ირგვლივ მიმოიხედა, იქვე იატაკზე მიგდებული რვა წლის გიმნაზიელის — ცირიულნიკოვის გვამზე შეაჩერა მზერა და, ეტყობა, მხოლოდ ახლა აღიქვა რაც მოხდა, უცებ არაადამიანური ხმით დაიყვირა:

— მხეცებო!..

სახე მიტკალივით გაუფითრდა, მკვდრის ფერი დაედო, შებარბაცდა და მოცელილივით დაეცა იატაკზე. ეტყობა, კეთილმა, მოწყალე გულმა ვერ გაუძლო...

ვასილი კვლავ მიიჭრა მასთან, თავზე ხელები მოჰხვია და დიდხანს, უსიტყვოდ ჩასჩერებოდა სხივმიქრალ თვალებში, და რაც უფრო ინავლებოდა მომაკვდავის თვალებში სიცოცხლის ჭიატი, ჭაბუკის გულში მით უფრო ღვივოდა სიძულვილისა და შურისძიების ჩაუქრობელი ალი.

შავრაზმელებმა იმ დღეს თბილისში ორი გაზეთის რედაქციები და რამდენიმე საზოგადოებრივი შენობაც დაარბიეს, სასტიკად გაუსწორდნენ იქ თავშეფარებულ მოქალაქეებს. შეიჭრნენ რესტორან „პურ-ღვინოში“, მოკლეს იურევის უნივერსიტეტის სტუდენტი ვაჩნაძე და მისი ახალგაზრდა ცოლი. როგორც შემდეგ გაირკვა, ქალისთვის ბეჭდებიანად დაეჭრათ თითები.

ხოცვა-ჟლეტა ქალაქის სხვა უბნებშიც მოხდა. ათობით ადამიანი დაიხოცა.

ყველა ამ საშინელებამ მარტო თბილისზე კი არა, მთელ ქვეყანაზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა და ახალი ბიძგი მისცა რევოლუციურ მოძრაობას, ბევრი თავშეკავებული ადამიანიც კი აიძულა პროტესტი გამოეცხადებინა.

● ●

უჩვეულოდ თბილი ოქტომბერი იდგა ქუთაისში. ხეები არ ჩქარობდნენ ლაღლადა სამოსლის გახდას, ოდნავ შებაცებულ, შეოქროსფერებულ ფოთლებს შემორჩენოდათ მაცოცხლებელი წვენი, ჯერაც მკვიდრად შეზრდოდნენ ტოტებს, ქარაშოტი თუ მოიჭრებოდა ქამიდან ქამზე და მოსწყვეტდა... ფერად-ფერად ნაფლეთებად ეფინებოდნენ ქვაფენილებს.

იმ საღამოს სტაროსელსკის ტელეგრაფიდან დაურეკეს და აცნობეს, მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტი უნდა გადმოგცეთო. მალე ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს მაგიდაზე ედო მეფის 17 ოქტომბრის მანიფესტის ტექსტის შემცველი ტელეგრამა, მასთან ისხდნენ ყიფშიძე და საგანგებოდ მოსული კომიტეტის წევრები. ფილიპე, მიხეილი და სილვესტრი და ერთად განიხილავდნენ მიღებულ ტელეგრამას.

— ვერაფერს იტყვი, ჭკვიანურად და ეშმაკურად არის შედგენილი, — დაიწყო ფილიპემ, — მით უფრო საშიში და ვერაგულია. თუმცა, როგორც იტყვიან, შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს მისი მიზანი: დრო უნდათ მოიგონ, ყველა საშუალებით შეაფერხონ სახალხო მოძრაობა, გზა-კვალი აუბნიონ მას, რეფორმიზმისა და საზოგადოების რეკონსტრუქციის მცდარ გზაზე დააყენონ. რაღა თქმა უნდა, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა ხალხი არ გაბრიყვდეს.

— ჰო, მაგრამ რა ვიღონოთ? — ჰკითხა სტაროსელსკიმ. — მე ხომ ნაბრძანები მაქვს, სასწრაფო პროპაგანდა გავუწიო ამ მანიფესტს, როგორც მეფის ნაწყალობევ დიად თავისუფლებას...

— მე მგონი, ამ ტექსტში მნიშვნელოვანი ტელეგრაფისმიერი დამახინჯებანი და შეცდომებია... თითქოს თავისთავად ჩაილაპარაკა სილვესტრმა.

მალე სათანადო მითითებაც შეადგინეს, მაზრის უფროსებს რომ უნდა დაეგზავნოდათ.

— მაშ, შევთანხმდით, — დაასკვნა სტაროსელსკიმ, — ასეთი შინაარსის ტელეგრამას ვაგზავნით, — და ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

— მთელ იმპერიაში ტელეგრაფით გამოცხადდა მანიფესტი, რომელიც მოსახლეობას ანიჭებს ძირეულ სამოქალაქო თავისუფლებებს, უზრუნველყოფს პიროვნების ნამდვილ ხელშეუხებლობას, სინდისის, სიტყვის, ბეჭდვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლებას, სათათბიროში იმ კლასთა ჩაბმას, რომელთაც აქამდე არ ჰქონდათ საარჩევნო უფლება, უზრუნველყოფს სათათბიროს საკანონმდებლო ძალაუფლებას, მინისტრთა პასუხისმგებლობას, საყოველთაო საარჩევნო უფლებას. თქვენ გევალებათ, ყოველმხრივი პროპაგანდა გაუწიოთ მოსახლეობაში მეფის ამ წყალობას და ყველას ნათლად განუმარტოთ მისი შინაარსი.

— ჩინებულია, — დაეთანხმა ყველა.

სტაროსელსკიმ შიკრიკი გამოიძახა და უბრძანა, სასწრაფოდ დაეგზავნა დეპეშები ყველა მაზრაში.

ორი დღის შემდეგ ადგილობრივმა პრესამ გამოაქვეყნა მანიფესტი და მნიშვნელოვანი აზრობრივი განსხვავება აღმოჩნდა ნაბეჭდ ტექსტსა და სტაროსელსკის მიერ მაზრის უფროსებისადმი გაგზავნილ დეპეშებს შორის. ამან სახალხო აღშფოთების გრიგალი გამოიწვია. უკვე ორი დღეა, ქალაქი ამბოხებული ხალხის ხელში იყო. თითქმის მთელი მოსახლეობა გამოვიდა ქუჩებში. ყველგან მიტინგები იმართებოდა, ორატორები ზედიზედ წარმოთქვამდნენ მგზნებარე სიტყვებს.

აგერ, თეატრის წინ ზღვა ხალხი შეგროვილა. ტრიბუნად შენობის ლავგარდანი გამოუყენებიათ. მასზე ერთი შუახნის კაცი შემდგარა და ხალხს მიმართავს:

— თვალთმაქცობაა! თაღლითობაა, ბატონებო! ჩვენს „კურთხეულ“ იმპერიაში ყველაფერი მოტყუებაზეა აგებული, მანიფესტით ნაბოძები გუშინდელი ვითომ თავისუფლება დღეს უკუდო დაპირებად იქცა. იოტის ოდენაც არ უნდა ვენდოთ დამნაშავეებისა და სისხლისმსმელების ბრბოს! არ იქნება სამართალი, სანამ მეფის მთავრობა დგას ქვეყნის სათავეში. ძირს ხალხის მოღალატენი! მხოლოდ შეიარაღებული აჯანყება! მაშ, იარაღს მოვკიდოთ ხელი, მეგობრებო!

— იარაღს, იარაღს მოვკიდოთ ხელი! — შესძახა ხალხმაც.

ქალაქის ცენტრში მდებარე პარკშიც დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. ახალგაზრდობაც ბლომად იყო — გიმნაზიელები და წმინდა ნინოს სასწავლებლის მოსწავლე ქალიშვილები. აი, ბაღის ძელსკამზე მაღალი, მოხდენილი ჭაბუკი ავიდა, მბრძანებლურად შემართა ხელი, ამხანაგებს სიჩუმისათვის მოუწოდა.

— ჩუმად, ამხანაგებო, ჩუმად, — გაისმა ხმები, — ვალოდიას მოვუსმინოთ!

— ვინ არის? — ჰკითხა ერთ-ერთმა ქალიშვილმა მეგობარს.

— ვალოდია მაიაკოვსკი გახლავს, ბაღდადელი მეტყევის შვილი, დამწყები პოეტი, — ირონიულად მიუგო მეგობარმა.

ორატორი დინჯად, აუჩქარებლად ლაპარაკობდა. მოიგონა თბილისის პირველ გიმნაზიაში დაღვრილი სისხლი, იუნკერების, შავრაზმელებისა და კაზაკების მიერ მოწყობილი რბევა-თარეში. ყურადღებით უსმენდნენ, უფრო და უფრო ხმამაღლა, მგზნებარედ ლაპარაკობდა, უჩვეულო შთაგონების არილი მოეფინა ლამაზ სახეზე. და აი, ქართულად დაიწყო იროდიონ ევდოშვილის პოპულარული რევოლუციური ლექსის კითხვა:

მეგობრებო, წინ, წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე, მკერდს სისხლის ღვარი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული!
წინ, წინ, მედგრად შევებრძოლოთ
ჩარხუკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ
სიმართლის და ძმობის დროშა!

ექოსავით აჰყვა შეკრებილი ხალხი:

დე, ჩვენ ტოლთ, უგვანო შვილთ,
კერპის წინა ხარონ ქედი,
ფუ, იმ ვაჟკაცს, ვინც ინატრის
მათი ხვე და მათი ბედი!
დე, ისევ მათ ავარჯიშონ
საქვეშძრომო მკლავი, ენა,
სხვა აკვნესონ და ამ კვნესით
თვით იმღერონ შვება-ლხენა...

და მიტინგის ყველა მონაწილე ერთხმად აგუგუნდა:

— ძირს სისხლისმსმელები, ძირს თვითმპყრობელობა!

● ●

ციცქნა წყნარ ქუჩაზე მდებარე საგუბერნიო სამმართველოს შენობა გარეგნულად პატარა, მყუდრო სახლს ჰგავდა, თუმცა აქ ოცდაათზე მეტი ოთახი იყო. ვლადიმერ ალექსანდრეს ძის კაბინეტი, მისაღები და სხვა სამსახურებრივი ოთახები თ უ რ თ, ფლიგელის მეორე სართულზე იყო განლაგებული. კაბინეტისთვის მაღალი, ნათელი ოთახი გამოეყოთ. ფართო ფანჯრები ქუჩას გადაჰყურებდა, მძიმე, სქელი ფარდები ეკიდა ფანჯრებზე. ოთახის მეტი ნაწილი მაგიდას ეჭირა, აქეთ-იქიდან წიგნები იყო აზვინული, ასე რომ, კაბინეტის პატრონი ღიობში, ამ წიგნთა შორის მოჩანდა. წიგნთა ყდების მიხედვით კაცი გაიგებდა, რომ უმეტესობა აგრონომიული და ეკონომიკური შინაარსისა გახლდათ. აქვე იყო თვით სტაროსელსკის შრომები: „მოკლე ცნობარი ქუთაისის გუბერნიაში ამერიკული ვაზის კულტურის შესახებ“, „მევენახეობის პრაქტიკული სახელმძღვანელო“ და სხვა. ამიტომაც, იფიქრებდით, ხელმწიფის ერთ-ერთ დიდ მოხელესთან კი არა, მეცნიერთან ვიმყოფებითო. ამ შთაბეჭდილებას უფრო აძლიერებდა ზედა სართულზე მდებარე ბინა: კედლების გასწვრივ წიგნის მაღალი, სამეცნიერო ლიტერატურით გაჭედილი თაროები ამართულიყო, ერთ-ერთი ოთახის შუაგულში ლაბორატორიული მაგიდა იდგა, რომელზეც სინჯარები, ამბუხები, ქიმიური რეაქტივების ქილები, სპირტქურები ეწყო. მინის ხუფქვეშ მიკროსკოპი ჩანდა. კარადებში ყურძნის მტევნებით, ვაზის კალმებით სავსე ქილები ჩამწკრივებულიყო. კედელზე მენდელეევის ვეება ტაბულის ქვეშ, დიაგრამები და სქემები ეკიდა.

... გარეთ ავდარი ბობოქრობდა. ქარი ძალუმად ეხლებოდა გუბერნატორის კაბინეტის ფანჯრებს, მოძვრებოდა ფანჯრის დიდრონ, მკვრივ ჩარჩოებში და მძიმე, ხავერდის ფარდებს არხევდა. ბროლის უზარმაზარი ჭაღი ჩამქრალი იყო, მხოლოდ მაგიდის ლამპა ენთო, ქსოვილის ვეება, ჩოლგუსოდენა, ფოჩხებიანი აბაჟური რომ ჰქონდა. შუქი ნახევარწრედ გადღაბნილიყო ბინდბუნდში და მოსაუბრეთა დაფიქრებულ სახეებს ეფინებოდა — სტაროსელსკი, ყიფშიძე და გომართელი უსხდნენ მაგიდას, აქვე, მაგიდის ბოლოში იჯდა წარბშეკრული, მდუმარე ვასილი.

— ვასილი საშინლად შეცბუნებული და გულისთხრობილი ჩამოვიდა თბილისიდან, — თქვა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ, — შეხედეთ, როგორ არის გამოცვლილი.

— მართლაც, — დაეთანხმა ალექსანდრე ივანეს ძე.

— ყმაწვილისთვის ხუმრობა ხომ არ არის ასეთი ფსიქიური ტრავმის გადატანა, — შენიშნა გომართელმა. მან ხომ თავისი თვალით ნახა გიმნაზიაში დატრიალებული უბედურება.

— არც მეგონა, ადამიანი თუ ასეთ მხეცობას ჩაიდენდა, — უცებ გაეპასუხა ვასილი.

— აგერ, შენ ამბობ, „მხეცობაო“, მაგრამ ეს ხომ ცილისწამებაა, უსამართლობაა ცხოველთა სამყაროს მიმართ, — შეედავა ყიფშიძე.

— დიახაც ასეა, — დაეთანხმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე.

— გააფთრებული მხეცი იმდენს რას მოისაზრებს, რაც ადამიანს შეუძლია. ძაღლი იდგება და კატას მოაჩრჩობს, თავისიანს კი, თავისავე ჯილაგისას, მოსაკლავად არ გაიმეტებს. ხომ ნათქვამია, ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევსო, ადამიანი კი, სიძულვილითა და მტრობით შეპყრობილი, რა დახელოვნებულ მეთოდს არ გამოიგონებს ხოლმე შურისძიებისათვის. განა ადამიანმა არ მოიგონა წამების უამრავი იარაღი... შაყას კვრა და დარჯაკში გატარება, ანდა მოფიქრება ხომ უნდოდა კაცის დასჯის ისეთი ხერხის მოგონებას, როგორიც არის მისი ბამბუკზე დასმა იმ ვარაუდით, რომ სწრაფად მზარდი მცენარე რამდენიმე დღეში განგმირავს მას. რამდენი მაგალითი ვიცით, გააფთრებული მხეცი ბავშვს რომ არ ერჩის, აქ კი?.. ანდა აი, ზუგდიდის მაზრის უფროსის — კელაპოვის ნამოქმედარი, რაც მან მოიმოქმედა უდანაშაულო ხალხის მიმართ, მხეცი არავითარ შემთხვევაში მსგავსს არ მოიმოქმედებდა....

ისე დაძაბული ჰქონდათ მოსაუბრეებს ნერვები, რომ როცა ვიღაცამ კარზე მოაკაკუნა, ყველა შეკრთა, თითქოს თოფის გასროლა მოესმათო, ზღურბლზე შავხალათიანი, მხარბეჭიანი, ჩასხმული კაცი გამოჩნდა, შარვალი გაქუცულ ჩექმებში ჩაეტანა.

— გამარჯობა, ვალოდია ბატონო! — წარმოთქვა და ფართოყვრიმალებიან სახეზე კეთილი ღიმილი გაუკრთა.

ლოყები ჯაგარა, შეჭაღარავებული წვერით ჰქონდა დაფარული, ცხვირსა და შუბლზე უამრავი შავი, წვრილი წერტილი ასხდა, ნაყვავილარი გეგონებოდათ. ეს სამჭედლო გრდემლთან მრავალწლიანი დგომის კვალი გახლდათ. მისი „ცეცხლოვანი პროფესიის“ განსაკუთრებული ნიშანი მაინც ვეება, დაკოჟრილი, ბანჯგვლიანი ხელები იყო, მთლად რომ გაშავებოდა კანში ღრმად ჩამჯდარი ჭვარტლისაგან.

— აჰა... სავლე, მობრძანდით, გეთაყვა! — მიესალმა ვლადიმერ ალექსანდრეს ძე, და სკამი შესთავაზა. გომართელმა და ყიფშიძემ მეგობრულად ჩამოართვეს ხელი.

— დროზე მოხვედი, მეგობარო, — უთხრა გომართელმა, — ეს-ეს არის ბატონი ალექსანდრე გვიყვებოდა ზუგდიდის მაზრის უფროსის კელაპოვის ნამოქმედარზე, თავისი გამოკვლევის შედეგებზე.

— ო, ვიცნობ, ადამიანის სახე აქვს, ოღონდ მხეცია ნამდვილი! — თქვა ახალმოსულმა.

— ჰოდა, მართალია ჩვენი მეგობარი გომართელი, — დაწყებული ამბავი განაგრძო ზაქარიამ. — თქვენი თხოვნითა და დავალებით ყველაფერი გულმოდგინედ შევისწავლე. ბევრი მოწმე დავკითხე, ათასნაირი პროფესიის და ფენის წარმომადგენელი — გლეხებიც, მოქალაქეებიც, სასულიერო პირებიც. უცილობლად დავადგინე: მაზრის უფროსი კელაპოვი სადისტი და სისხლისმსმელია.

— უბრალოდ, ნაძირალაა. თავი ისე უჭირავს, თითქოს არაფერი ეგებოდეს, რაც გარშემო ხდება — თითქოს ყიფშიძის აზრს განაგრძობსო, თქვა ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ. — იმთავითვე მტრულად შეხვდა გლეხთა მოძრაობას, გაცოფდა, უჩვეულო სისასტიკით უნდა მისი ჩახშობა.

— მთელი იმპერია განმათავისუფლებელმა გამოსვლებმა მოიცვა, არადა, მარტო ბატონი კელაპოვი ცდილობს მის შეჩერებას, ზვავს უპირებს შეჩერებას, — ჩაურთო სავლემ. — ტყუილად იჭიფხება, რეპრესიებს პირუკუ მოქმედება აქვს, ასე არ არის?

— მართალს ამბობ, სავლე, ხალხთა მასების მოძრაობა ახლა უფრო ძლიერია, ვიდრე ცხრაასხუთის თებერვალში იყო, — დაეთანხმა გომართელი.

— სწორედ კელაპოვის ნამოქმედარმა ჰქნა, ხალხის გაბოროტება ასე რომ იზრდება და იზრდება, ხალხს ასე რომ ძულს ადმინისტრაციის წარმომადგენლები. სასწრაფოდ უნდა გავაძევოთ ის ნაძირალა და, რაც მალე, მით უკეთესი.

— სწორია, — კვლავ ჩაურთო სავლემ, — ჩვენი კომიტეტიც დაჟინებით მოითხოვს სახელგატეხილი ადმინისტრატორის მოცილებას. ამით ზუგდიდის მაზრის გაწამებულ მოსახლეობასაც სამართლიანად მოვექცევით.

ვლადიმერ ალექსანდრეს ძე სწრაფად წამოდგა, ყიფშიძეს მიუბრუნდა და უთხრა:

— მაშ ასე, მომამზადეთ ტელეგრამა კელაპოვის — მაზრის უფროსის პოსტიდან განთავისუფლების თაობაზე. მოკვლეულ იქნას მის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენების ფაქტები.

● ●

სამხედრო ეშელონის უფროსობა გაფრთხილებული იყო: შესაძლოა სუფსისა და ჯუმათის მიდამოებში წითელრაზმელები დაგესხათ თავს, ამიტომ მატარებელი დიდი სიფრთხილით მიჰყავდათ. თავდასხმის მოლოდინში დაძაბული ჯარისკაცები ხმადაბლა საუბრობდნენ ვაგონებში, ჯარის ამბებზე ბჭობდნენ.

— ვერ გამიგია, ჩვენ რატომ უნდა შევცვალოთ ჟანდარმები და პოლიციელები, — თქვა ერთმა.

— გუბერნიის ერთი ბოლოდან მეორეში გვერეკებიან.

— ამაშია მთელი უბედურება. ჩვენ აქ ხალხს ვეომებით, იქით კი პორტ-არტურს მტერს ვუთმობთ...

— შეწყვიტეთ ლაყბობა! — დაიყვირა სერჟანტმა, კიდევ რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ უეცრად გაისმა მუხრუჭების ღრჭიალი და ერთმანეთს შეჯახებული ბუფერების გრიალმა ჭექა-ქუხილივით გადაუარა მთელ ეშელონს. სერჟანტი უმალ წამოიჭრა.

— იარაღისაკენ! — გაისმა ბრძანება.

ჯარისკაცებმა ნელა, უხალისოდ ჩამოხსნეს დგარებიდან შაშხანები. გაისმა სროლის ხმაც... მეზობელ ვაგონში მყოფმა ეშელონის მეთაურმა, კაპიტანმა პოპოვმა, ხნიერმა, ჩასხმულმა კაცმა, ბრძანა:

— ფედოროვი და ივანოვი დაზვერვაზე! გაარკვიონ ვითარება.

— არის! — უპასუხეს მათ, უმალ ვაგონიდან ჩამოხტნენ და დაკუზულები სირბილით გაუყვნენ ვაგონებს. თავდამსხმელებმა, რასაკვირველია, შენიშნეს ისინი, მაგრამ არავის უსროლია. მზვერავები სწრაფადვე დაბრუნდნენ.

— იქით, ბექობს უკან ზღვა ხალხია, — მოახსენეს უფროსს,— მეზობელი სოფლებიდან მოკრებილი გლეხები არიან, სამ-ოთხ ათას კაცზე ნაკლები არ იქნება. ბევრს თოფი და რევოლვერი აქვს. მემანქანემ გვითხრა, წინ გზა აყრილია, ხოლო ბოლო ვაგონის ჯარისკაცმაც შეგვატყობინა: თვითონ დავინახე, მატარებლის უკანაც ხსნიან რელსებსო.

— როგორ მოვიქცეთ, ბატონებო! — მიუბრუნდა ეშელონის მეთაური ოფიცრებს.

— დაუყოვნებლივ გავიდეთ და ლიანდაგი შევაკეთოთ, ბრძოლით გავიკაფოთ გზა,— განაცხადა ახალგაზრდა ლეიტენანტმა, კოხტა ულვაშები რომ ჰქონდა. ტანზე კარგად მომდგარი მუნდირი ეცვა.

— ეს უგუნურება იქნება, — შეედავა მეორე ოფიცერი, შუახნის მაღალი, გამხდარი ქერა კაცი, შტაბის უფროსი. — ცეცხლქვეშ გზის შეკეთება და თანაც ასეთ ქვაბში, სადაც ყოველი წერტილი სამიზნეა, უაზრობაა, მოწინააღმდეგეც ბევრად მეტია ჩვენზე.

— მერე, რა, თუ ბევრად მეტია! ეგ ასი ველური ჩვენს ერთ ჯარისკაცად არა ღირს! — გაცხარდა ახალგაზრდა ლეიტენანტი.

— დაწყნარდით, ბატონებო! ჯერ ის უნდა გავიგოთ, რას მოითხოვენ, შემრიგებლურად თქვა კაპიტანმა.

და უცებ, თითქოს მისი სიტყვები გაიგესო, მოისმა ხმები:

—გთხოვთ გამოვიდეს ვინმე მოსალაპარაკებლად!

კაპიტანი გავიდა, რამდენიმე ჯარისკაცი გაიყოლა.

— გამარჯობათ, ბატონო მეთაურო! — მიესალმა მას ერთ-ერთი წითელრაზმელი. — ჩვენ იარაღი გვინდა. პირადს, ოფიცერთა იარაღს არ ვითხოვთ. ის რევოლვერები ჩაგვაბარეთ, თან რომ მიგაქვთ, და ღმერთმა ხელი მოგიმართოთ.

ამის მთქმელი კაი ბრგე ვაჟკაცი იყო, მკერდზე ჯვარედინად გადაეკიდა სავაზნე ლენტები, ქამარზე გრძელი ხანჯალი ეკიდა. ეტყობოდა, ეს იყო წინამძღოლი. ირგვლივ მცველები ედგა.

— რა რევოლვერებს ითხოვთ? — ჰკითხა კაპიტანმა.

— ჩვენი ცნობების თანახმად, ყუთებში ას ორმოცდათორმეტი ცალი რევოლვერი გიდევთ, ბატონო.

— გეტყობათ, ჩვენზე უკეთ იცით, რა მიგვაქვს... ორჭოფულად მიუგო ეშელონის უფროსმა და ცოტაოდენი დუმილის შემდეგ დასძინა: — მოვითათბირებთ.— მერე ვაგონში შებრუნდა.

ხალხი მოუთმენლად აგუგუნდა. ყველანი მოსცილდნენ მატარებელს და იქვე ჩასაფრდნენ.

— ვერაფერი გამიგია. ოზურგეთის მაზრის უფროსმა აკი ჩემი თანდასწრებით სთხოვა გუბერნატორ სტაროსელსკის, ერთი ორმოცდაათი კაცით გავაძლიეროთ ეშელონიო. ასე რომ ყოფილიყო, ახლა სხვაგვარად იქნებოდა საქმე. იმან კი: ისედაც საკმარისი ხალხი გყავთ, თანაც, რა საჭიროა ხალხთან ბრძოლაო...

— ღმერთო, დიდებულო, იდუმალია შენი გზები! —წარმოთქვა შტაბის უფროსმა და პირჯვარი გადაიწერა, — იგივე არა თქვა ქუთაისის გუბერნიის ჯარების უფროსმა შიშკოვსკიმ, მოსახლეობას შემწყნარებლურად მოეკიდეთო?..

— ღმერთმა მაპატიოს და, ეტყობა, ჩვენმა უფროსობამ ჩვენს მაგივრად გადაწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავით. მივცეთ იარაღი და მორჩა...

— მაპატიეთ, ბატონებო, მაგრამ თქვენ ისე მსჯელობთ, როგორც მხდალები და მეამბოხეები... წამოჭარხლდა გაცეცხლებული ლეიტენანტი.

— ლეიტენანტო სმირნოვ, მეტისმეტი მოგდით! — დაუყვირა მას კაპიტანმა. —გთხოვთ დაუფიქრდეთ, რას ამბობთ!

და მბრძანებლური კილოთი თქვა:

— მაშასადამე, რაზმელებს ვაბარებთ იარაღს.

— პროტესტს ვაცხადებ!

— ლეიტენანტო სმირნოვ, შეუდექით ბრძანების შესრულებას!— მტკიცედ ბრძანა ეშელონის მეთაურმა.

— არის შევუდგე ბრძანების შესრულებას, — მიუგო ლეიტენანტმა და იქვე დასძინა:

— ნება მომეცით, ზემდგომ უფროსობას მივმართო!...

— ნებას გაძლევთ.

მალე „სმიტ ვესსონის“ სისტემის რევოლვერებით სავსე მძიმე ყუთები წითელი რაზმის მეთაურს ჩააბარეს.

რაზმელები და ჯარისკაცები ერთობლივ შეუდგნენ ლიანდაგის აღდგენას. დიდი მონდომებით მუშაობდნენ. ჯერ საქმე მოთავებული არ ჰქონდათ, ანაზდად რკინიგზის გვერდით მიმავალ შარაგზაზე ეტლი გამოჩნდა. მეეტლემ ზედ ეშელონთან შეაყენა ცხენები. ეტლიდან პოლიციელი მცველებით გარშემორტყმული მაზრის უფროსი, სამოქალაქო მრჩეველი ლაზარენკო ჩამოხტა. სტაროსელსკის შესახვედრად მიდიოდა, მატარებლის გაჩერების ამბავი გაიგო და აქეთ გამოეშურა. ეშელონის უფროსმა მისი დანახვისთანავე ბრძანა:

— სწორდით! — მიესალმა და უპატაკა: — თქვენო უმაღლესობავ, ახლახან, მეტად არასასიამოვნო რამ მოხდა. ეშელონს თავს დაესხა აჯანყებულთა ურიცხვი ჯარი; იძულებული ვიყავით, მათთვის გადაგვეცა „სმიტ ვესსონის“ სისტემის ას ორმოცდათორმეტი რევოლვერი... ეშელონის მეთაური.., კაპიტანი პოპოვი...

— ასე აიღეთ და გადაეცით?! — გაფითრდა ლაზარენკო.

— ნება მომეცით, თქვენო კეთილშობილებავ, მივმართო მის უმაღლესობას, — მუნდირის სწორებით გამოვიდა წინ და კაპიტანს მიუბრუნდა ლეიტენანტი სმირნოვი.

— ნებას გაძლევთ, — უხალისოდ მიუგო პოპოვმა.

ლაზარენკო უსმენდა ლეიტენანტს და თანდათან ფითრდებოდა, თვალებით ელვას აკვესებდა...

— ...ჰოდა, ეშელონის უფროსმა გვიბრძანა, იარაღი აჯანყებულთათვის გადაგვეცა. — დაამთავრა სათქმელი ლეიტენანტმა.

— ოჰ, ეს დამპალი ლიბერალები, საცოდავი ლაჩრები! —გულზე სკდებოდა მაზრის უფროსი.— თქვენ, ლეიტენანტო, ქების ღირსი ხართ, თქვენ კი, —მუქარით მიუბრუნდა კაპიტანს, —სამხედრო ტრიბუნალი არ აგცდებათ!

ეს იყო და ეს, არავის გამოსთხოვებია, ერთბაშად შებრუნდა, ვაგონს მოსცილდა და ეტლისაკენ გაეშურა.

ნახევარი საათის შემდეგ სოფელ სუფსასთან შეხვდა აქეთ მომავალ სტაროსელსკის. გუბერნატორს, ჩვეულებისამებრ, წითელრაზმელთა დაცვა ახლდა. მიესალმა თუ არა, აღშფოთებულმა ლაზარენკომ ახლახან მომხდარი ამბავი უამბო ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს.

— ამჟამად ჩამორთმეული იარაღი ხოჯალის, ჩოჩხათის და ახლომახლო სოფლების მოსახლეობას აქვს. ახლავე უნდა გაიგზავნოს საგანგებო რაზმი იარაღის ჩამოსართმევად და დამნაშავეთა დასასჯელად. უნდა გაგაფრთხილოთ, რომ ამ სოფლების მოსახლეობა აგიტატორთა დიდ გავლენას განიცდის, უკიდურესად შემართულია და მეტისმეტად გამომწვევად იქცევა. ჩემი აზრით, ლეიტენანტი სმირნოვი უნდა წავახალისოთ, კაპიტანი პოპოვი კი დაუყოვნებლივ სამხედრო ტრიბუნალს გადავცეთ... — სხაპასხუპით ჩამოაფრქვია სათქმელი ლაზარენკომ, გაჩუმდა და ვლადიმერ ალექსანდრეს ძეს მიაჩერდა, რას იტყვისო. ძალიან გაუკვირდა, როცა ნახა, რომ მისმა ნაუბარმა მოსალოდნელი შთაბეჭდილება არ მოახდინა. გუბერნატორმა წყნარად თქვა:

— ნუ ცხარობთ, მეგობარო, მოდი, ემჯობესია გზას გავუყვეთ.

მალე ეშელონს მიუახლოვდნენ. ლიანდაგის აღდგენას ამთავრებდნენ და მატარებელი ის-ის იყო უნდა დაძრულიყო. სტაროსელსკიმ ეტლი გააჩერებინა, სხარტად ჩამოხტა და ვაგონში მყოფი ოფიცრებისაკენ გაემართა. ლაზარენკო ძლივს ეწეოდა. ის იყო კაპიტანმა პოპოვმა პატაკის მოხსენება დააპირა, გუბერნატორმა მეგობრულად შეაჩერა:

— თავისუფლად... უკვე ვიცი, ბატონებო! — მერე ეშელონის მეთაურს მიმართა:

— კაპიტანო პოპოვ, მადლობას გიცხადებთ გონივრული გადაწყვეტილებისა და მოქმედებისათვის! აი, ლეიტენანტი სმირნოვი კი სამხედრო ტრიბუნალს უნდა გადაეცეს სამხედრო დისციპლინის დარღვევისათვის...

მერე ვლადიმერ ალექსანდრეს ძემ კეთილი მგზავრობა უსურვა ბატონ ოფიცრებს და ვაგონიდან ჩამოვიდა.

— მთელი ეს გაუგებრობა იმისი ბრალია, რომ ცუდად ასრულებთ თქვენს სამსახურებრივ მოვალეობას, — უთხრა გზად მაზრის უფროსს.

— ზომიტევეთ... — შეიცხადა ლაზარენკომ, მაგრამ სტაროსელსკიმ სიტყვა გააწყვეტინა:

— რამდენჯერ გაგაფრთხილეთ, ისე იმოქმედეთ, ხალხთან კონფლიქტს როგორმე თავი აარიდეთ-მეთქი. ხალხი მძლავრ მდინარესა ჰგავს, რაც უნდა ეცადოთ, რიონს მაინც ვერ შეაჩერებთ, შეიძლება ოდნავ შეანელოთ მდინარება, მაგრამ იცოდეთ, მდინარე მაინც გაარღვევს ჯებირს და ყველაფერს წალეკავს თავის გზაზე...

ისე გაბუცებული უსმენდა ლაზარენკო, სიცელქეზე წასწრებულ მოსწავლეს ჰგავდა, რომელმაც არ უწყის, რით იმართლოს თავი. თვით სტაროსელსკი მიეშველა:

— ახლა კი, მეგობარო, დამტოვეთ და თქვენს სამაზრო საქმეებს მიხედეთ. გაფრთხილებთ, ამიერიდან ასეთი უცნაური წინადადებებით ნუ მომმართავთ.

დაბნეული, ურთიერთსაწინააღმდეგო გრძნობებით შეპყრობილი ლაზარენკო თავის ეტლში გადაჯდა და ოზურგეთისაკენ გაემართა.

● ●

საავდრო ღრუბელზე უფრო მოქუფრული იჯდა თავის კაბინეტში შირინკინი. ეტყობოდა, საბოლოოდ მოთმინებიდან გამოიყვანა ქუთაისიდან მიღებულმა ცნობებმა. სწრაფად გასწია სკამი, წამოიჭრა, მოსცილდა საწერ მაგიდას და აღელვებით ბოლთისცემას მოჰყვა. მერე ტელეფონთან მივიდა და თავისი მოადგილე ხმელიოვი გამოიძახა. ისიც დაუყოვნებლივ მასთან გაჩნდა.

— ქუთაისში მეფის ხელისუფლება დაემხო! — სხტად დატოვა მოადგილე შირინკინმა, — ყველა სახელმწიფოებრივი ორგანო უმოქმედოდაა, პოლიციელები და ჟანდარმები ან დაჭერილი, ან იარაღაყრილი არიან. პრაქტიკულად მთელი ძალაუფლება რევოლუციონერთა ბრბოს ხელშია.

— და, რასაკვირველია, სათავეში გუბერნატორი უდგათ, არა?

— აბა, როგორ. აგე, წერილი გავამზადე შინაგან საქმეთა სამინისტროში, პოლიციის დეპარტამენტში, — შირინკინმა ხმამაღლა დაიწყო კითხვა:

„ქუთაისის გუბერნია განსაკუთრებულ მდგომარეობაშია. გუბერნატორ სტაროსელსკის გარდა, ხელისუფლებას არა ცნობენ, ჟანდარმებს იარაღი აჰყარეს, ხელთ იგდეს რკინიგზის დასავლეთი უბანი. თვითონ ყიდიან ბილეთებს და თავის წესრიგს ამყარებენ. ქუთაისიდან არავითარი ცნობა არ მოგვდის. ჟანდარმები ხაზიდან მოხსნილნი არიან, გამოგზავნილ შიკრიკებს რევოლუციონერები ჩხრეკენ. დოკუმენტებს ართმევენ. აუტანელი ვითარებაა...“

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, მე ასე მგონია, რომ სტაროსელსკიზე უფრო მკაფიოდ უნდა ითქვას. უნდა გადავუკრათ, რომ მისი დაუყოვნებლივ მოცილებაა საჭირო.

— რაღაც ამის მსგავსი ერთხელ უკვე მივწერეთ, მაგრამ ამაოდ, ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული. აშკარაა, ვიღაც მფარველობს. ყველაფერი, რაც ახლა ქუთაისში ხდება, ეს მხოლოდ დასაწყისია, მთავარი მაშინ მოხდება, როცა სტაროსელსკი და მისი დამქაშები შეძლებენ თავიანთი ბინძური ჩანაფიქრის შესრულებას და გუბერნიიდან გააძევებენ ტახტის ერთგულ ერთადერთ ჯარს — კაზაკთა ნაწილებს. დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვები, მთელი დასავლეთი საქართველო წითლების ხელში გადავა. აგერ, გრაფმა სტაროსელსკიმ დეპეშა გადმომიგზავნა, რომელშიც სათანადო ნიადაგს ამზადებს მათს გასაძევებლად: კაზაკები გამომწვევად იქცევიან, ღამღამობით შეიარაღებულები ჯგუფ-ჯგუფად დადიან ქალაქში, მშვიდობიან მოქალაქეებს სცემენ, ძარცვავენო. უამრავი საჩივრები და პროტესტები მოგვდის კაზაკებზეო. ამიტომაც მოითხოვს სასწრაფო მოცილებას. დახეთ, თურმე ქვეითი ჯარის ნაწილები ნებავს.

— რა თქმა უნდა, — კვერი დაუკრა ხმელიოვმა. — ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსმა აკი გვამცნო, ქვეითი გარნიზონის ჯარისკაცები ქუთაისსა და მის გარეუბნებში მრავლად ესწრებიან ისეთ კრებებს, სადაც აგიტატორები მთავრობის საწინააღმდეგო სიტყვებს წარმოთქვამენო. რაღაც ოცდაათმუხლიანი მოთხოვნებიც კი შეუკოწიწებიათ: ჯარისკაცს თავის სამშობლოში სამსახურის ნება მიეცესო... ხალხის თანაგრძნობისათვის ანდა ჯარისკაცთა ინტერესების დაცვისათვის არავინ არ უნდა იქნეს დაპატიმრებული, ჯარისკაცთა დაპატიმრება და დასჯა მხოლოდ მაშინ უნდა მოხდეს, როცა ასეულში ამორჩეული მსაჯულები ამას განიხილავენ და გადაწყვეტენო... ისიცა თქვეს, ამ კრებას სტაროსელსკიც ესწრებოდაო.

— პირდაპირ საოცარია, რა ხდება! — დაიწყო შირინკინმა. — ნუთუ არ ესმით მათ, ვისაც ეს თანამდებობით ევალება, გაიგოს რაც სურთ რევოლუციონერებს მეფისა და ტახტის ერთგული ჯარისკაცების განდევნის შემდეგ: მათ უნდათ გურია პლაცდარმად გამოიყენონ, საიდანაც პროპაგანდით გაბრუებულ ჯართან ერთად, რომელსაც სათავეში მოღალატე და სამხედრო ფიცის გამტეხი შიშკოვსკი ჩაუდგება, ბათუმისა და თბილისისაკენ წამოვლენ, რათა „აღმართონ თავისუფლების დროშა“. სტაროსელსკი ყველაფერს აკეთებს საამისოდ. ადევნებს ადმინისტრაციისა და სახელმწიფო დაწესებულებების ყოველ ღონისძიებას, რომლებიც კი რევოლუციონერებს ხელს შეუშლის თავიანთი ბნელი ზრახვების განხორციელებაში... უჰ, ეს ნაძირალა!.. ეს სულგაყიდულია!.. — იყვირა შირინკინმა. — ახლა ჩვენ, ტახტის ერთგულნი ვალდებული ვართ ყოველი ღონე ვიხმაროთ, რათა თავიდან მოვიცილოთ ეგ საზიზღარი მოღალატე და ტახტის მტერი.

— მართალს ბრძანებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ: რაც უფრო მალე გავუსწორდებით, მით უკეთესი, თორემ... — ხმელიოვს ენა დაება.

— თორემ რა? — წარბი შეიკრა გენერალმა.

— წარმოგიდგენიათ? — თითქოს კითხვა ვერ გაიგონაო, განაგრძო ხმელიოვმა, — გუშინ შეგვატყობინეს: ჩვენი მტკიცე დასაყრდენი, მეფის ერთგული მსახური, ზუგდიდის მაზრის უფროსი კელაპოვი სტაროსელსკის სამსახურიდან მოუხსნია და მოუთხოვია, სასამართლოს გადაეცითო..

— ალბათ, იმის თქმა გსურთ, ცოტაც და ჩვენც მოგვწვდებაო, — რაღაც მზაკვრული კილოთი შენიშნა შირინკინმა, — მართალი ხართ. სანამ გვიანი არ არის, უნდა ვიმოქმედოთ.

— ეტყობა, თავისმა პარტიულმა მეგობრებმა ურჩიეს, ჩვენს დაცვაზე უარი თქვა და მოგვისპო თვალთვალის საშუალება, — დაიწყო ხმელიოვმა და სულ ცეცხლი შეუნთო შეფს. — მისი პირადი დაცვა წითელრაზმელებისა და შავი ზღვის ფლოტის დეზერტირი მეზღვაურებისგან შედგება.

— როგორიც ერიო, ისეთი მღვდელიო, — გესლიანად ჩაილაპარაკა შირინკინმა.

— როცა ჩვენი სამმართველოს ოფიცერმა ვოლკინმა სტაროსელსკის მოახსენა, ერთ-ერთი თქვენი მცველი რაზმელების მიერ მოკლული პოლიციელი ალექსეევის იარაღს ატარებსო, იმან ცინიკურად მიუგო, მოგეჩვენათო.

შირინკინმა რაღაცის თქმა დააპირა. მაგრამ უცებ ვიღაცამ კარზე მოაკაკუნა. ადიუტანტი შემოვიდა და პაკეტი შემოიტანა. ხუთგან იყო ლუქდასმულ-დაბეჭდილი და ზედ ეწერა: „სრულიად საიდუმლოდ, მხოლოდ პირადად“.

შირინკინმა ჯერ ბეჭდები შეამოწმა, მთელია თუ არაო, მერე გრძელი მაკრატლით სწრაფად გახსნა პაკეტი და წერილს თვალი გადაავლო... სისხლი მოაწვა სახეზე.

— ოჰო!.. დახეთ, რა ხდება, ჯარიც კი გონს გადავიდა. ინებეთ, წაიკითხეთ, — თქვა გაბრაზებულმა და მოადგილეს მიუგდო წერილი.

ქუთაისის ჟანდარმერიის საგუბერნიო სამმართველოდან იტყობინებოდნენ: „ამა წლის 12 ივლისს, ადგილობრივი რევოლუციური ორგანიზაციის ცნობილი მოღვაწის ალექსანდრე წულუკიძის დაკრძალვაზე, კურინის 79-ე ქვეითი პოლკის ჯარისკაცმა მიიტანა გვირგვინი, რომელზედაც ეწერა: „თავისუფლებისათვის მებრძოლ საშა წულუკიძეს კურინისა და ფოთის პოლკთა ჯარისკაცებისაგან“.

— დაგვიანებული ცნობაა, — შენიშნა ხმელიოვმა, — მას თავისი გაგრძელება აქვს.

— რა გაგრძელებაო?

— თქვენ აქ არ ბრძანდებოდით, შეტყობინება მივიღე: კაპიტანი, რომელმაც ის ჯარისკაცი სამხედრო-საველე სასამართლოს გადასცა, ახლახან მოუკლავთ ქუთაისში, ხალხით გაჭედილ ქუჩაში. მკვლელები მიმალულან. ამბობენ, სახალხო მსაჯულებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს კიდევ რამდენიმე ოფიცერს, რომლებმაც, მათი აზრით, ჯარისკაცთა მიმართ სისასტიკე გამოიჩინეს.

— ჰო, ვერაფერს იტყვი, მამულის ერთგულ შვილებს სიკვდილს უსჯიან სასამართლოები, რომლებსაც ასე თავგამოდებით იცავს სტაროსელსკი.

— აი, დღეს მომახსენეს, ბათუმში ხმა დარხეულა, თითქოს მათ ნავსადგურში მეამბოხეთა გემი „თავადი პოტიომკინ-ტავრიჩესკი“ აპირებს შემოსვლას. მე, რასაკვირველია, არა მჯერა, მაგრამ ეშმაკმა იცის...

— აჰა! ჩვენი მეამბოხეები გვაკლია და ახლა ეგენიც დაგვემატა, — მკვახედ შესძახა შირინკინმა. — ყოველი შემთხვევისათვის, დაშიფრული წერილი მოამზადეთ გრაფის სახელზე, ამასთან გააფრთხილეთ ბათუმის გარნიზონი და ფლოტი. სავსებით დარწმუნებული ვარ, მათ შესახვედრად უეჭველად გაემზადება სტაროსელსკი. ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა ხდება, რა უბედურება დაატყდა ჩვენს სამეფოს! — თავზე იტაცა ხელი შირინკინმა.

დასასრული. დასაწყისი იხ. „კომუნისტი“ № 49, № 55.

კომუნისტი — საკუთარი საკითხავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგობრობის დღესასწაული: ესტაფეტა— ლატვიას

ახალი შეხვედრებისა და აღმოჩენების სიხარულს მიანიჭებენ ქართველ მაყურებელს ლატვიის დღეები, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში მოეწყობა 16-23 მარტს. დღეების პროგრამა საქინფორმის კორესპონდენტს გააცნეს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში.

მოძმე ლატვიის კულტურის ოსტატთა მომავალი შემოქმედებითი შეხვედრები ემღვნება სსრ კავშირის შექმნის 60 წლის თავს. ეს დღეები გახდება საბჭოთა ხელისუფლების წლებში ლატვიელი ხალხის კულტურის აყვავების კიდევ ერთი შთამბეჭდავი დასტური და საინტერესო ფურცელს შემატებს ორი დედაქალაქის — თბილისისა და რიგის ტრადიციული თანამშრომლობის მატიანეს.

საქართველოში უყვართ შესანიშნავი თავისთავადი ლატვიური ხელოვნება, რომელიც წარმოაჩენს მშრომელი ადამიანის ღრმა სულიერ სამყაროს, მშვენიერებას. ლატვიური წიგნისა და სიმღერის, მუსიკისა და ცეკვის, სახვითი ხელოვნების, თეატრისა და კინოს ნაწარმოების ყოველი ახალი გაცნობა დიდ კმაყოფილებასა და სიხარულს გვანიჭებს.

სწორედ ამ გრძნობით ეგებება საქართველოს საზოგადოებრიობა ლატვიის კულტურის ოსტატებს. დღეები გაიხსნება 16 მარტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ლატვიის სსრ ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლის „დაილე" გამოსვლით, რომლის ხელმძღვანელია ლატვიის სახალხო არტისტი ულდის ჟაგატა. 18 მარტს ამავე სცენაზე ერთმანეთს შეხვდება ორი ქორეოგრაფიული კოლექტივი — საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური დამსახურებული ანსამბლი და „დაილე". დაუგავას ნაპირებზე შობილი ცეკვები და მრავალსაუკუნოვანი ქართული ქორეოგრაფიის ნიმუშები შექმნის ერთიან პროგრამას და თვალსაჩინოდ ცხადყოფს ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს კულტურათა განუყრელ ურთიერთკავშირს.

დღეების პროგრამა ითვალისწინებს ლატვიის თვალსაჩინო ვოკალისტთა მონაწილეობას ოპერა „ტრუბადურში" თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე.

მოძმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები შეხვდებიან ქუთაისის ავტომობილმშენებლებს, გურჯაანის მევენახეებს, გაუმართავენ მათ კონცერტებს. ოპერის თეატრის ქუთაისის ფილიალის სცენაზე აჩვენებენ ოპერა „ტრუბადურს" სტუმრების მონაწილეობით.

ამ ბალტიისპირა რესპუბლიკის შემდეგ საქართველოში გაიმართება მოლდავეთისა და უკრაინის დღეები. (საქინფორმი).

შ. ვ. გაბილაია



რესპუბლიკის ფილოსოფიურმა და სამეცნიერო-პედაგოგიურმა საზოგადოებრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში 1947 წლიდან სკპ წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი შოთა ვლადიმერის ძე გაბილაია.

იგი დაიბადა 1917 წელს ბორჯომში, მოსამსახურის ოჯახში. 1939 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ხოლო 1942 წელს — ასპირანტურა. აქედან მოყოლებული ოთხი ათეული წლის მანძილზე დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით ემსახურებოდა სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის საპატიო და კეთილშობილურ საქმეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს თეატრალურ ინსტიტუტში, ბათუმისა და სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტებში. სხვადასხვა დროს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის დეკანი, უნივერსიტეტის დიალექტიკური მატერიალიზმის კათედრის გამგე, საქართველოს თეატრალური ინსტიტუტის პრორექტორი სამეცნიერო ნაწილში.

ყველგან, სადაც კი მუშაობა მოუხდა, შთამბეჭდავი და წარუშლელია შ. გაბილაიას მოღვაწეობის კვალი, ღრმა მეცნიერული განსწავლულობა, ფართო დიაპაზონი და ერუდიცია შესაძლებლობას აძლევდა თანაბრად მაღალ თეორიულ და იდეურ დონეზე წაეკითხა ლექციები ფილოსოფიის თუ ისტორიის სხვადასხვა საკითხზე. ვისაც შ. გაბილაიას ლექციები მოუსმენია, შეუძლებელია არ მოხიბლულიყო მისი ნათელი აზროვნებით, ლოგიკური არგუმენტაციის დამატყვევებელი ძალით, მაღალი მეტყველების კულტურითა და პედაგოგიური პათოსით, რაც მას განუმეორებელ თავისთავადობას ანიჭებდა.

შ. გაბილაია დაკვირვებული მეცნიერი მკვლევარი იყო. მას ეკუთვნის საყურადღებო ნაშრომები ქართულ და რუსულ ენებზე. მისი თანაავტორობით და რედაქციით გამოიცა სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო და დამხმარე სახელმძღვანელო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის.

საბჭოთა ფილოსოფოსებს შორის შ. გაბილაიამ ერთ-ერთმა პირველთაგანმა დაამუშავა მეცნიერულად ინტუიციის პრობლემა. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიწვევით მან სპეციალური კურსი წაიკითხა ამ თემაზე. მეცნიერული კვლევის შედეგებმა მას საზღვარგარეთაც გაუთქვა სახელი. მისმა ლექციებმა ბერლინის, ბრნოსა და ოლომოუცის უნივერსიტეტებში სპეციალისტთა დიდი მოწონება და აღიარება დაიმსახურა.

შ. გაბილაია გამოირჩეოდა მაღალი მოქალაქეობრივი ღირსებებით — პრინციპულობით, გულისხმიერებით, მომთხოვნელობით, შემოქმედებითი გზნებითა და გატაცებით. საზოგადოებრივ კოლექტივის ინტერესებისადმი თავდაუზოგავი სამსახური მისი უმაღლესი მოთხოვნილება იყო.

წავიდა ჩვენგან შესანიშნავი პედაგოგი და მკვლევარი, მეცნიერული საქმიანობის ორგანიზატორი და საზოგადო მოღვაწე. მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება მრავალრიცხოვანი კოლეგებისა და აღზრდილების გულში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი.

ამას წინათ, ჩეხოსლოვაკიის უდიდესმა გამომცემლობამ „ობზორ ედიცია იანტარმა" სლოვაკურ ენაზე გამოსცა ცნობილი ქართველი პროზაიკოსის გურამ ფანჯიკიძის რომანი „თვალი პატიოსანი", რომელიც სლოვაკურ გამოცემაში დასათაურებულია „ცხოვრების სამი წელიწადი". როგორც ჩეხოსლოვაკიის პრესა აღნიშნავს (გაზეთები „პრავდა", „სვიეტ სოციალიზმუ", „ნედელა" და სხვა), ამ ნაწარმოებმა მკითხველთა დიდი ყურადღება მიიპყრო და ერთ-ერთი პოპულარული საბჭოთა რომანის სახელი მოიხვეჭა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამჟამად გამოსაცემად მზადდება გ. ფანჯიკიძის მეორე ნაწარმოებიც „მეშვიდე ცა". იგი ახლა ცალკეულ თავებად იბეჭდება სლოვაკიის ერთ-ერთ პოპულარულ ლიტერატურულ ჟურნალში, ხოლო უკვე დადეს საგამომცემლო ხელშეკრულება რომანზე „აქტიური მზის წელიწადი". ორივე წიგნის თარგმანი ეკუთვნის ქართველი ხალხის დიდ მეგობარს, გამოჩენილ სლოვაკ მწერალ ქალს ვიქტორია სლობოდნიკოვას. მალე ჩეხურ ენაზეც გამოვა „აქტიური მზის წელიწადი", რომელიც პირდაპირ ქართულიდან თარგმნა ვაცლავ ჩერნიმ, ხოლო უკვე დაიდო ხელშეკრულება „თვალი პატიოსანის" გამოსაცემად.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ცნობილი კრიტიკოსისა და ლიტერატურათმცოდნის დუშან სოლოვოდნიკის წინასიტყვაობასა და რეცენზიას (შემოკლებით), რომელიც წამძღვარებული აქვს რომანს „ცხოვრების სამი წელიწადი".

ქართული საბჭოთა ლიტერატურის თარგმნისათვის მუშაობა ჩეხოსლოვაკიაში კარგა ხანია საინტერესოდ და შინაარსიანად მიმდინარეობს. სლოვაკურ ენაზე გურამ ფანჯიკიძის რომანის თარგმნა კი, უნდა აღინიშნოს, ახალი, დიდი ნაბიჯია ამ საქმეში. ამ ნაწარმოების თარგმნამ და გამოცემამ ჩვენში სიხარულის სიო შემოიტანა და მოლოდინიც გაამართლა. უნდა წარმოგიდგინოთ ახალი საბჭოთა ავტორი — გურამ ივანეს ძე ფანჯიკიძე, რამეთუ უდავოდ მკითხველს დიდხანს დაამახსოვრდება იგი. პირველი გაცნობისთანავე მკითხველი იპოვის მის ნაწარმოებში პასუხს მისთვის საინტერესო და ამაღლებულ კითხვებზე, რასაც, სამწუხაროდ, ხშირად ვერ ვხვდებით თანამედროვე ლიტერატურაში. ამის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ გარდა გამოკვეთილი ტალანტისა, რაც ძირითად პირობას წარმოადგენს, ავტორი გამოირჩევა ეთიკური სიმამაცით, დამაჯერებლობით. ასეთია ნიჭიერი ქართველი მწერალი ფანჯიკიძე (დაბ. 1933 წ.), რომელიც დღეს თქვენ წინაშეა წარმოდგენილი.



ქართული წიგნის ჰორიზონტები

„თვალი პატიოსანი" სლოვაკურად

მორალური ერთიანობის ძიება

გ. ფანჯიკიძე საბჭოთა ლიტერატურასა და კულტურაში შევიდა თანდათან, აუჩქარებლივ, გარკვეული პროგრესული სულისკვეთებით. სპეციალობით ინჟინერ-მეტალურგმა ახალგაზრდულ ასაკშივე დაიწყო ჯერ იუმორისტული მოთხრობების წერა, მერე ნარკვევებისა და შთაბეჭდილებების გამოქვეყნება. ამავე დროს მკითხველს აწვდის სპორტულ თემებზე შესანიშნავად შექმნილ რეპორტაჟებს. პირველი დიდი მხატვრული ტილოს გამოქვეყნებამდე, იგი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, დაადგება მისთვის უკვე კარგად აღქმულ და ჩამოყალიბებულ კრიტიკულ გზას, რათა დამაჯერებლად აღწეროს, მკითხველს თვალნათლივ განაცდევინოს ყოველივე არაადამიანური და უპრინციპო მოვლენების ულმობლობა, დროებითი არსებობა დიადი საზოგადოების ცხოვრების ფონზე, იმ საზოგადოებისა, რომლისთვისაც ასეთი რამ მიუღებელიცაა და დასაგმობიც. ავტორი გულახდილად გადმოგვცემს თავის მიზანსწრაფვას და საჯაროდ აცხადებს: „მე მინდა ვწერო გმირული სულისა და ინტელექტის ადამიანებზე, რომელთაც ხორცმეტები ჩრდილს ვერ მიაყენებენ".

სწორედ ასეთი ალმაფრენით განმსჭვალულია მისი პირველი რომანი „მეშვიდე ცა", ხოლო შემდგომ კი „თვალი პატიოსანი", რომელიც არა მარტო ითარგმნა და გამოიცა მრავალ ენაზე, არამედ თეატრისა და კინოს განუყოფელი ნაწილი გახდა.

რომანი „ცხოვრების სამი წელიწადი" მწერლის მეორე რომანია. მისი ეპიკური კომპოზიცია მხატვრულად მომწიფებულია და აზრთა პირდაპირობით გამოირჩევა. აქტიური მოქმედების, მეორეხარისხოვანი სიტუაციების საინტერესო გამოხატვით, იგი შეეცადა ღრმად ჩასწვდომოდა, კარგად გაეგო და გაეანალიზებინა თანამედროვე ცხოვრების, ახალგაზრდა ადამიანების ბედიღბლის რთული სურათი.

უეჭველია აგრეთვე, რომ როგორც მწერლის სამშობლოში, ასევე ჩვენთან — ჩეხოსლოვაკიაში იგი მრავალ მადლიერ მკითხველს იპოვის, უწინარეს ყოვლისა იმით, თუ როგორი თავგანწირვით, როგორი სიყვარულის გრძნობით გვიხატავს იგი უანგარო, წმინდა, შეუდრეკელ, ცუდისადმი შეურიგებელ ახალგაზრდობას. მხოლოდ დიდი ხელოვნებისათვის დამახასიათებელ მხატვრულ ხერხებს იყენებს ავტორი, რომელმაც შესანიშნავად შეიცნო, თუ რა ძალუძს კარგად გააზრებულ პროზაულ ეპიკურ სიტყვას.

ეთიკური პრობლემატიკა, ამ სიტყვის ფართო გაგებით, დიდი ხანია იყო და არის საბჭოთა მწერლობის ყურადღების ცენტრში. ცალკეულ პირთა და იმ საზოგადოებას შორის ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებების ლიკვიდაციამ, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარია, სოციალიზმამდელი საზოგადოებრივი ფორმაციებისათვის დამახასიათებელმა აზრთა სხვადასხვაობამ მწერლობის ინტერესების ცენტრში მოაქცია საზოგადოებისა და ადამიანის ეთიკური პრობლემატიკის საკითხის გადაწყვეტა.

ორი სამყაროს გამუდმებული ბრძოლა და ომი მწერლობისაგან მოითხოვდა ზედმიწევნით ჩაწვდომოდნენ და სათანადოდ აესახათ უპირველეს ყოვლისა სოციალური, პოლიტიკური, მსოფლმხედველური და სამხედრო კონფლიქტი ორ ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ საზოგადოებრივ სისტემას შორის.

მაგრამ უკვე ასე აგებულ ნაწარმოებებშიც კი, რომლებიც ნამდვილ ლიტერატურულ მოდელად გვესახება, ისეთ მოდელად, როგორიც არის, მაგალითად, მიხეილ შოლოხოვის „წყნარი დონი", ალექსი ტოლსტოის „გზანი წამებისანი" (სადაც მხატვრულად არის ასახული სამოქალაქო ომის ამბები), აგრეთვე ა. ბეკის „ვოლოკოლამსკის გზატკეცილი" ან ვ. გროსმანის „ხალხის უკვდავება" (სადაც ავტორებმა აღწერეს საბჭოთა ხალხის ცხოვრება ფაშიზმის წინააღმდეგ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში), ადგილი ეთმობა ეთიკურ პრობლემატიკასაც.

ნიჭიერმა საბჭოთა მწერლებმა საკმაოდ საფუძვლიანად აღიქვეს და ასახეს თავიანთ ნაწარმოებებში საბჭოთა საზოგადოების სიახლე: შენიშნეს, რომ საბჭოთა ადამიანი ეთიკური თვალსაზრისით ახლებურად ეკიდება ცხოვრებას, თავის საზოგადოებას.

თანამედროვის მიმართ ამ მაღალი მომთხოვნელობის შენარჩუნებაზე უდავოდ იქონია გავლენა საბჭოთა საზოგადოების დინამიკურმა განვითარებამაც, განსაკუთრებით კი მეცნიერების გავლენამ თანამედროვე საზოგადოებაზე.

გ. ფანჯიკიძის რომანი უდავოდ შედის მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემატიკის თემაზე თანამედროვე პროზისა და დრამის ყველაზე არსებითი თემატიკურ წრეში. მისი გმირები, კერძოდ, თამაზ იაშვილი, მუშაობენ მეცნიერების სფეროში.

„ცხოვრების სამი წელიწადი" მოწმობს აგრეთვე თანამედროვე ცხოვრებაზე მეცნიერების გავლენის პრობლემატიკის უფრო არსებითად ათვისებას. ამ ნაწარმოების თემა (მკითხველი დაგვეთანხმება, რომ იგი დრამატულად, თანამედროვე ქართული საზოგადოების ცხოვრების მრავალი ელემენტის ღრმა გაგებით არის ასახული) თითქოსდა პირველი კონტაქტია მეცნიერული განვითარების კომპლექსთან.

შემეცნება, ადამიანის მეცნიერული დონე, არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პიროვნების ეთიკურ საწყისებს. აი აზრი, რომელსაც გურამ ფანჯიკიძე მოხერხებულად გამოხატავს არა ლექტორის ენით, არამედ რომანის პერსონაჟებისა და სიუჟეტის ლოგიკური განვითარების საშუალებით.

მეტი დამაჯერებლობისათვის რომანის ავტორი თამაზ იაშვილს უახლოებს ადამიანს ხელოვნების სფეროდან — ოთარ ნიჟარაძეს, რომელიც თანდათანობით ხდება რომანის მთავარი მოქმედი გმირი, მისი მორალური ღერძი.

უკომპრომისობა და გარკვეული მიზანდასახულობა ოთარ ნიჟარაძის ხასიათის ძირითადი თვისებებია, ხოლო ამ მორალური მომთხოვნელობის მწველი ძალა რომანის სიუჟეტში სრულიად განსხვავებულ სიტუაციებში იჩენს თავს (ავტოკატასტროფა, რომლის მოწმეც იყო ოთარი, მანანასთან ერთად ქალაქგარეთ გასეირნება, ოთარის ურთიერთობა მეუღლესთან და, ბოლოს, თავის დამორჩილების უნარი, როდესაც შეიტყობს, რომ განუკურნებელი სენი სჭირს).

როდესაც ჩვენ გავიგებთ განსხვავებას საზოგადოების განვითარების დონეში საბოლოო ანგარიშით კი ომის წლებსა და თანამედროვე სამოცდაათიან წლებს შორის, რომლებსაც მოიცავს გ. ფანჯიკიძის რომანი, მაშინ შევძლებთ ვამტკიცოთ, რომ ოთარ ნიჟარაძე პირდაპირი მემკვიდრეა სოტნიკოვისა და ვ. ბიკოვის რომანიდან „მეხუთე სახრჩობელა", რომ სოტნიკოვის მსგავსად შეუძლია თავი გაართვას რთულ სიტუაციებს, რომლებსაც ცხოვრებაში აწყდება. და აქაც ჩვენ ვხედავთ საბჭოთა საზოგადოების არა მარტო განუწყვეტელ განვითარებას, არამედ მის მონოლითურობასაც, რომელსაც ასაბუთებს როგორც ბელორუსი, ისე ქართველი მწერლის იდეური, შემეცნებითი, ეთიკური და მხატვრული მიზნებით შეთანხმებულობა.

გაიხსენეთ, რომ გურამ ფანჯიკიძე აგრეთვე ავტორია რომანისა „მეშვიდე ცა" და ნარკვევებისა „შორეულ მხარეებში". თავისი თემატიკური ორიენტაციით, ადამიანის მორალური პრობლემატიკის წარმოჩენით „მეშვიდე ცა" ისეთ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც განსაზღვრავენ თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის მიმართულებას.

გ. ფანჯიკიძის რომანი „ცხოვრების სამი წელიწადი" უთუოდ დააინტერესებს მკითხველს პერსონაჟების თავისთავადობით, დრამატული სიუჟეტით. მაგრამ ჩვენ გვინდა მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმას, რომ იგი ღრმად შეეზარდა საბჭოთა ლიტერატურის განვითარების მთავარ მიმართულებასა და მიმდინარეობას. მისი საფუძვლიანი განხილვისას წინა პლანზე წამოიწევს ლიტერატურის არსი, როგორც მეტად მნიშვნელოვანი სულიერი საზრდო ადამიანისა.

ლიტერატურა — ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. გ. ფანჯიკიძის რომანი, — ეს არის ასახვა ადამიანზე კონკრეტულ, სოციალურ და საზოგადოებრივ გარემოში, დროის გარკვეულ პერიოდში. ეს კი ნიშნავს, რომ იგი ინარჩუნებს უწინარესად ამა თუ იმ დროის ადამიანისა და საზოგადოების სულიერ მიზნებს.

მთელი საბჭოთა მწერლობა ფრიად დამაჯერებლად მოწმობს ლიტერატურაში ადამიანის ასეთი წარმოსახვის აუცილებლობას. ეს არის მისი მიმზიდველობის გარანტია, რაშიც გვარწმუნებს გამომცემლობა „იანტარის" წიგნები.

სლოვაკურიდან თარგმნა.
ალეკო კაკულიამ.

შემოქმედის ხუთწლედი



ოთხმოც წელს გადავაბიჯე, მაგრამ ჯერ ფარ-ხმალი არ დამიყრია. დიდი მადლობელი ვარ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციისა, რომელმაც ფართოდ გამიღო კარი და დღემდე არ მაკლებს ყურადღებას. წელს ჩემს რჩეულ ლექსებსა და პოემებს გამოსცემს „მერანი", ხოლო „ხელოვნებას" დაგეგმილი აქვს ტრაგედიების „შოთა რუსთაველისა" და „გიორგი სააკაძის", აგრეთვე კომედია „აპრაკუნე ჭიმჭიმელის" გამოცემა.

ბოლო ორ პიესას საინტერესო სცენური ცხოვრება აქვს: „აპრაკუნე ჭიმჭიმელი" წარმატებით დაიდგა შარშან ზუგდიდის, ხოლო წელს თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრში ნიჭიერი რეჟისორების მურმან ფურცხვანიძისა და ლერი პაქსაშვილის ხელმძღვანელობით. „გიორგი სააკაძე" კი გორის სახელმწიფო თეატრში გ. აბრამიშვილის რეჟისორობით დაიდგა. რაც შეეხება ტრაგედია „შოთა რუსთაველს", მისით დაინტერესდა მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თემურ ჩხეიძე და ვნახოთ, რა ბედი ეწევა ამ პიესას. კიდევ ორი დრამატურგიული ნაწარმოების — კომედია „ახალი აზნაურების" და ტრაგედია „შამილის" დადგმა გათვალისწინებული აქვთ ბათუმისა და თბილისის სახელმწიფო დრამატულ თეატრებს. ამჟამადაც გატაცებით ვმუშაობ როგორც დრამატურგიაში, ასევე პოეზიაში, რადგან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ჩვენმა მწერლობამ, და არა მარტო მწერლობამ, ისეთი მხარდაჭერა პოვა, როგორიც მას წინათ არ ღირსებია.

იონა ვაკელი.

ვარდი

რა ლამაზად გადაშლილხარ,
გულიც კოხტად გაგილია,
ირგვლივ აფრქვევ უცხო ფერებს
სურნელებით ათრობ ნიავს...
ვინც შეგხედავს — ტყვეა შენი
და თვალები რჩება ღია,
შენი ეშხით გულდამწვარი
ბულბულებიც ცრემლსა ღვრიან
— ეჰ, რად მინდა, რომ დრო-
ებით
თუნდ ხამთობეც იყოს ღია,
წუთით ლხენა გართობაში
არაფერიც არა ყრია.
ვინც მოსულა, იხევ მიდის,
ზოგს ფრთებიც ვერ გაუშლია,
ამ ქვეყნიდან ჯერ არავის
არაფერი წაუღია!
— მაშინ იამ რა უნდა თქვას,
იმ პატარა, ნაზმა იამ,
კოკრები რომ მოჩანს მხოლოდ
და გაშლაც ვერ მოუსწრია.
დგას ჩუმად და დამორცხვებულს
თვალიც კი ვერ გაუღია,
არც ჩიტები უგალობენ,
არც ფუტკრები ეხვევიან?
— ეჰ, სანამდე კოკრად ჩანხარ,
ეს დრო შენი სიცოცხლეა,
მიწაც თბილად გიალერსებს,
ირგვლივ ტყე და გარეთ მზეა...
ასე არის, ეს ცხოვრება,
ხან მწარე და ხან ტკბილია...
არ გაშლილხარ, გაშლა გინდა,
გაიშლები — სიკვდილია!

ზარები

უდიდესი სიხარული არის —
როცა რეკავს გამარჯვების ზარი
ან მორთული ხალამო ჟამს გზაზე
საქორწინო ეტლი მიქრის
ჩქარი...
მიქრის ეტლი, შიგ ზის
პატარძალი.
ვაჟის გვერდით ბედნიერი არი,
მაყრები გვერდს უმშვენებენ
სარძლოს,
ღვინის სმით და სილამაზით
მთვრალნი.
ჰა, მოვიდნენ... მაყრიონის
ჯარით —
გაივსება ეზო, სახლი, კარი,
სიმღერებით, ცეკვა-
ტაშ-ფანდურით,
მაშხალების ცამდე აღწევს ალი...
და ოჯახიც უკვე ფეხზე მდგარი,
იქნებ კიდეც ამაყობდეს
გვარით,
რომ მრავლდება ნაშიერი მისი,
მომავლის მტკიცე თანამგზავრი.
გავა დრო და შეიცვლება დარი,
სულ სხვა ჰანგზე ჩამორეკავს
ზარი,
ვაჟს მეუღლე მიაცილებს
ცრემლით
თმაგაშლილი, მწუხარებით
მთვრალი...
ახლაც ისევ რეკავს მძიმედ ზარი,
იმისმა ხმამ შესძრა მთა და
ბარი...
რა მძიმეა, ო, რა მძიმე
ჩვენთვის
სულ ბოლო დროს დარეკილი
ზარი!

ბედნიერება

ზოგი არა ვართ ბედით მდიდარი,
მაგრამ ამაზე არ გვიგლოვია,
არც მოწყალება არავითარი —
ჩვენ განგებისგან არ გვითხოვია.
ან კი რას მოგვცემს, რას
გაიმეტებს,
ის უბედური რის მომცემია?
ვერც გულგატეხილს დაიმედებს
და ვერც საწყალ კაცს თვალებ-
ცრემლიანს!..
განა ბედდამწვარს, სულით
დაცემულს,
მარტო ნუგეშის სიტყვა ეყოფა?
თუ მის დამლუპველს გათავხედ-
ებულს —
ხალხის რისხვა არ გადაელობა!
და ვიბრძვით ასე... ბოლოს და
ბოლოს
ხარბს ხელგაშლილი მუდამ
ერევა...
და თუ ძირს დასცემს კეთილი
ბოროტს —
აი ეს არის ბედნიერება

სულით მდაბალნი

სულით მდაბალნი მუდამ
ფლიდობენ,
ზოგი მათგანი კეთილად
ცხოვრობს,
ამ ქვეყანაზე ძმას არ ინდობენ,
ხან მეგობარსაც უთხრიან
ორმოს.
აი ასეთი ყოფის და ჯიშის —
თითქოს გათლილი არიან
ხიდან,
ძაღლი წინიდან არის საშიში —
ავი კაცი კი ყოველი მხრიდან!

ჩვენი საათი

რა მოსაწყენი დღეა, ძნელად გადასატანი,
მაგრამ ყველაფერს ეგუება კაცის ბუნება,
ბედნიერი ხარ, როცა ბაღში ყვავის ატამი
და შენც დაიწყებ ცხოვრებისკენ შემობრუნებას.

დრო ისე გარბის თითქოს იყოს დამფრთხალი კვიცი,
ჩვენც მას მივყვებით უნებურად, ჩუმი ტაატით...
ის მაინც რად ღირს, როცა ქვეყნად არავინ ვიცით —
რატომ ან როდის გაჩერდება ჩვენი საათი!



გაზაფხულის სუნთქვა

ს. კილაძის ფოტო.

წყალბურთელთა საკავშირო...

თბილისსა და კიევში დამთავრდა წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის ბოლოსწინა ტური. გთავაზობთ კიევში გამართული ბოლო მატჩების შედეგებს: მოსკოვის უნივერსიტეტი—შავი ზღვის წითელდროშოვანი ფლოტის გუნდი (სევასტოპოლი) — 11:10, ლვოვის „დინამო"-მოსკოვის „დინამო" — 6:10, კასპიის ზღვის წითელდროშოვანი ფლოტილიის კოლექტივი (ბაქო) კიევის „დინამო" — 10:14.

არ შეიძლება არ აღინიშნოს თბილისის „დინამოს" მნიშვნელოვანი წარმატება. ჩვენი დინამოელები ამ უკანასკნელ ხანს მართლაც კარგად თამაშობენ. თბილისის ტურში მათ ოთხი მატჩი გამართეს და ოთხივე მოიგეს.

დღეისათვის ერთპიროვნულად ლიდერობს ალმა-ათის „დინამო", — 33 ქულა. თბილისისა და კიევის დინამოელები 23-23 ქულით მეხუთე-მეექვსე ადგილებს ინაწილებენ.

მეორე წრის დასკვნითი მატჩები გაიმართება 19-22 მარტს მოსკოვსა და ტაშკენტში.

ჭადრაკი

ახალი სუპერტურნირი

ინგლისელ ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ ორ წელიწადში ერთხელ ლონდონში მოაწყონ სუპერტურნირი მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკე დიდოსტატების მონაწილეობით. ამას წინათ გამოქვეყნდა ასეთი ტურნირის მონაწილეთა შემადგენლობა. ასპარეზობა 15 აპრილს იწყება და თვის ბოლომდე გასტანს. ლონდონში ითამაშებენ მსოფლიოს ჩემპიონი ა. კარპოვი, დიდოსტატები გ. კასპაროვი (ორივე — საბჭოთა კავშირი) ი. ტიმანი (ჰოლანდია), რ. ჰიუბნერი (გფრ), ლ. პორტიში (უნგრეთი), უ. ანდერსონი (შვეცია), ი. სეირავანი (აშშ), ლ. ლუბოევიჩი (იუგოსლავია), ე. მაილსი და ჯ. ნანი (ორივე — ინგლისი).

გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!

ცნობილი ავსტრიელი მწერალი ელიას კანეტი დიდი ხანია ინგლისში ცხოვრობს, ოღონდ ძველებურად გერმანულ ენაზე წერს. მან 1981 წელს ნობელის პრემია მიიღო. ჯერ კიდევ 1925 წელს მწერალმა გამოაქვეყნა რომანი „აუტოდაფე", სადაც გამოყვანილია ლიტერატურული გმირი გვარად ფიშერი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი ხდება ჭადრაკში, შემდეგ კი თამაშს ანებებს თავს და ცხოვრობს როგორც განდეგილი. როდესაც ამ რომანს იხსენებენ, ლიტერატურული კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ კანეტიმ როგორღაც გამოიცნო, რა მოხდებოდა მრავალი წლის შემდეგ.

სატურნირო ორბიტა

სპარტაკიადა. კრასნოიარსკში სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის V სპარტაკიადის მორიგ კალენდარულ დღეს პირველი ადგილები მოიპოვეს: ციგურებით რბენაში (1.000 მ.) — ნ. გლებოვამ (კემეროვოს ოლქი), ბიატლონისტთა 10 კილომეტრზე რბოლაში — ვ. ბარნაშოვმა (ომსკის ოლქი), ფიგურულ ციგურაობაში (სპორტული წყვილები) — ინავოვლიანსკაიამ და ვალერი სპირიდონოვმა (მოსკოვი).

ცურვა. მოსკოვში მიმდინარე სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მატჩზე სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ლენინგრადელმა ვლადიმერ სალნიკოვმა 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 3 წუთი და 49,57 წამი. იორგ ვოიტემ (გდრ) კი 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ევროპის რეკორდი დაამყარა — 49,95 წამი. ამავე დისტანციაზე მოსკოველმა სერგი სმირიაგინმა საკავშირო მიღწევა გააუმჯობესა — 50,22.

წყალხტომა. მოსკოვში გრძელდება „გაზაფხულის მერცხლებად" წოდებული საერთაშორისო შეჯიბრება. 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში პირველობა დაეუფლა ფ. ჰოფმანი (გდრ), მეორე ადგილზე გამოვიდა ა. პორტნოვი, მესამეზე — ს. ქვევანოვი (ორივე — სსრ კავშირი).

კალათბურთი. გაიმართა ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები. კაუნასში ადგილობრივმა „ჟალგირისმა" დაამარცხა ცსკა — 84:70, რიგაში კი ვეფმა უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს" და გაიმარჯვა ანგარიშით 110:96. მკითხველებმა იციან, რომ თბილისის დინამოელები IX-XII ადგილებისათვის მებრძოლ ჯგუფში არიან. ამ გუნდების ტურნირი მინსკში მიმდინარეობს. შეჯიბრების პირველ დღეს თბილისელები შეხვდნენ ადგილობრივ რტის. გაიმარჯვეს მინსკელებმა — 93:89. ტალინის „კალევმა" კი დაამარცხა კუიბიშევის „სტროიტელი" — 77:75.

ფიგურული ციგურაობა. კოპენჰაგენში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდა მედლების მესამე კომპლექტი. ყინულზე მოცეკვავეთა შორის შეჯიბრებაში პირველობა მოიპოვეს ინგლისელებმა, ჯეინ ტორვილმა და კრისტოფერ დინმა. მეორე ადგილზე გამოვიდნენ ნატალია ბესტემიანოვა და ანდრია ბუკინი, მესამეზე — ირინე მოისეევა და ანდრია მინენკოვი.

მხატვრის ღიმილი

უსიტყვოდ

მხატვარ ი. ყეინიშვილის ნახატები.

ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონი

17 მარტი

ფეხბურთი

ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასზე

თბილისის „დინამო"—ვარშავის „ლეგია"

დასაწყისი 19 საათზე.

ბილეთების გაყიდვა: ორგანიზაციებისათვის — 15-16 მარტს 10 საათიდან. აბონემენტებზე — მ-6 ტალონით — სტადიონის № 1-16 სალაროებში 15-16 მარტს 10-დან 19 საათამდე. შესვენება—14-დან 15 საათამდე. ბილეთების საერთო გაყიდვა — 17 მარტს სტადიონის № 1-5 და № 9-16 სალაროებში 10 საათიდან.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელებისათვის, ოლიმპიურ ასპარეზობათა ჩემპიონებისათვის, მსოფლიო და ევროპის რეკორდსმენებისა და ჩემპიონებისათვის — № 6 სალაროში; სსრ კავშირის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისათვის და გმირებისათვის — № 7 სალაროში; დიდი სამამულო ომის ინვალიდებისათვის — № 8 სალაროში. ძალაშია 1981 წლის სეზონის ყველა საშვი და აბონემენტი.

ტელევიზია

14 მარტი

პირველი პროგრამით: 9.00 — „ვრემია" (მ.), 9.40 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი — „თუშეთის ფერები". 10.00 — „მოამბე", 10.30 — შევისწავლოთ რუსული ენა, 11.00 — „სამეურნეო მექანიზმი — სიახლეები, პრობლემები", 11.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 12.00 — „ჯანმრთელობა" — სამეცნიერო-პოპულარული პროგრამა (მ.), 12.45 — „დილის ფოსტა" — მუსიკალური პროგრამა (მ.), 13.15 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი, (სტუდიაშია დოცენტი თ. კვაჭანტირაძე), 13.45 — „თქვენთვის, პატარებო!" — „ცეროდენას ეკრანი", 14.05 — ახალგაზრდობისათვის — „ქართული საბჭოთა თეატრი" სესილია თაყაიშვილი (გამეორებით), 15.00 — „ვესტნიკი", 15.30 — „ილუზიონი", 18.30 — „საუბრები ახალგაზრდობისათვის", 18.45 — მულტიპლიკაციური ფილმი, 19.00 — „საერთაშორისო პანორამა" (მ.), 19.45 — „ზღაპრების გუდა", 20.00 — „მოამბე", 20.30 — მსოფლიოს პირველობა ფიგურულ ციგურაობაში, საჩვენებელი გამოსვლები (გადაცემა დანიიდან), 22.00 — „ვრემია" — საინფორმაციო პროგრამა (მ.), 22.35 — „სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავისათვის" — „მოძმე რესპუბლიკების მუსიკალური ხელოვნება". — ესტონეთი, 23.05 — გასართობი პროგრამა „რიტმი, რიტმი, რიტმი"...

რედაქტორი
გ. ბედინეიშვილი

საქართველოს პროფსაბჭო, საქართველოს პროფკავშირთა კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა კურორტ ცაიშის მთავარი ექიმი, სკკპ წევრი, საქართველოს დამსახურებული ექიმი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

გიორგი პლატონის ძე თუზბაია.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 08150 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით. საგაზეთო კორპუსი, ხოშარაულის 29.